საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიჩებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარტისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 16 აგვისტო. 2021 წ. №168 (9287) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი



ალექსანდრე თვალჭრელიძე:

„ოცნებამ" „ნაცმოძრაობა" ბეჭებზე დადო...

③

ამ დროს კი, საიდანღაც გახარია გამოცყვრა...

რამაზ საყვარელიძე: ოპოზიციის წამგებიან სვლებს მარტო მტერი არ ხედავს!..



Saka Beridze /RFERL

სალომე ზურაბიშვილი: ④

კურთხევის გარეშე ძნელი წარმოსადგენია მინიჭებული თავისუფლების რეალური განხორციელება! ასეთია დღეს ეკლესიის გამოწვევა და სიფასუხისმგებლო არჩევანი

ირაკლი ღარიბაშვილი: დიდგორზე ბრწყინვალე გამარჯვების გარეშე არ იქნებოდა საქართველოს „ოქროს ხანა"

ქართველთა უფლებების გამანადგურებელი „სახელმწიფოს" თამაში აფხაზეთში!

⑦

შეძლებს თუ არა მსოფლიო ოდესმე COVID-19-ის სრულად ამოძირკვას?!

⑧

მეცნიერები შანსებს აფასებენ

ვაქცინირებულ ისრაელსა და ბრიტანეთში სიკვდილიანობის კოეფიციენტი 0%-ს უახლოვდება, ⑧ საქართველოში - 1,26% პროცენტს!

ზაზა აბაშიძე:

პრეტენზიის და აღშფოთების ⑤ საფუძველი არ არსებობს!

აიცარით!



თუნდაც ეს მსოფლიო მასშტაბის დივერსია იყოს, ვაქცინაცია მით უფრო აუცილებელია!

ირაკლი ღარიბაშვილი: ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკის შედეგია ის, რომ სოფლის მეურნეობაში 2 მილიარდზე მეტია ინვესტირებული

ჩვენ ვაგრძელებთ აქტიურ საარჩევნო კამპანიას. ახლახან ვიმყოფებოდი სოფელ ჩუმლაყში. მე მინდა საუბარი დავიწყო სწორედ ამით და მართლაც აღფრთოვანებული ვარ იქ ნანახით, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, „ქართული ოცნების“ გურჯაანის მერობის კანდიდატის ზურაბ უტიაშვილის წარდგენაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა სოფელ ჩუმლაყში 2012 წლამდე არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევაზე.

„მოგესალმებით გურჯაანელებო, ძვირფასო მეგობრებო, განსაკუთრებით მივესალმები ამ ლამაზ ქალაქს და ამ ქალაქის მოსახლეობას, დიდი პატივისცემით და სიყვარულით.

ახლა მინდა, ჩვენს მოსახლეობას მოვუყვე, თუ რამხელა შედეგი დაიდო ჩვენი ერთობლივი შრომით, მთავრობის და ხალხის ერთობლივი ძალისხმევით. 2012 წლამდე, გურჯაანის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო, ერთ კონკრეტული სოფელზე, ჩუმლაყზე რომ ვისაუბროთ, მოსახლეობას, გლეხებს, ფერმერებს, მშრომელ ხალხს მოჰყავდათ ატამი, მაგრამ შემდეგ, ამის რეალიზაცია, რა თქმა უნდა, უჭირდათ, იმიტომ, რომ არ იყო შექმნილი სამაცივრე მეურნეობები. შესაბამისად, ფასიც იყო ძალიან დაბალი, მაშინ ღირდა 30-40-50 თეთრი, კილოგრამი ატამი და რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი პრობლემა იყო. მოსახლეობას არ ჰქონდა მოტივაცია, რომ აღნიშნული საქმიანობა გაეგრძელებინა.

ჩვენი მთავრობის დროს და ეს პოლიტიკა, ინიციატივები დაიწყო პარტიის დამფუძნებელმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. სწორედ მისი პოლიტიკის შედეგი არის ის, რომ სოფლის მეურნეობაში, ბოლო 8 წელიწადში, 2 მილიარდზე მეტი არის ინვესტირებული. შედეგად, სოფელ ჩუმლაყში შექმნილი არის 40 სამაცივრე მეურნეობა. წელს, უკვე ექსპორტირებული არის, დაახლოებით 24 000 ტონა ატამი და ამის შედეგად, დაახლოებით 80 მლნ. ლარი შევიდა ჩვენი მოსახლეობის ოჯახებში და შემოსავლის სახით, ამხელა შემოსავალი მიიღო მოსახლეობამ. ეს ერთი კონკრეტული ფაქტი მოვიყვანე იმის სადემონსტრაციოდ, რომ ჩვენი ერთობლივი მუშაობით, შეგვიძლია კონკრეტული შედეგის მიღწევა“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, გეგმაშია სოფლების წყალმომარაგების პროექტი, რომელიც დაახლოებით, 65 მლნ. ლარი ჯდება.

„ჩვენ ძალიან ბევრი გავაკეთეთ ბოლო 8 წლის განმავლობაში იგივე გზების მშენებლობის, გაზიფიცირების, წყალმომარაგების მიმართულებით. გურჯაანს, ქალაქს უკვე აქვს 24 საათიანი წყალმომარაგება. ახლა ჩვენ უნდა დავიწყოთ, გეგმაში გვაქვს, სოფლების წყალმომარაგების პროექტიც, რომელიც, დაახლოებით, 65 მლნ. ლარი ჯდება. ეს არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა და მე ამაზე ყოველთვის ვსაუბრობ. საქართველოში, დაახლოებით, 3 000-ზე მეტ სოფელს არ მიეწოდება ხარისხიანი წყალი. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, სამუშაო, ეს უნდა იყოს, რომ ყველა სოფელს ჰქონდეს ხარისხიანი წყალი, გზა, გაზი და ყველა ეს პირობა შევუქმნათ ჩვენს მოსახლეობას, რომ ადგილზე დამაგრდნენ, დასახლდნენ და შექმნან დამატებითი ღირებულებაც და სამუშაო ადგილები.

ბევრი გაკეთდა, იგივე, თუნდაც განათლების მიმართულებით, ძალიან ბევრი სკოლა აშენდა, 175 ახალი სკოლა აშენდა, დაახლოებით, 250-მდე — რეაბილიტირდა. ახლა ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ერთიანი ევროპული სტანდარტის მიხედვით. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი მოტივაცია.

რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი ის, რაც გაკეთდა, კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით, მეტი ენერგიით და მოტივაციით, მეტი საქმე უნდა ვაკეთოთ ერთად. ჩვენ ახლა გვჭირდება შრომა, შრომა და შრომა. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა მთავრობის და ჩვენი მოსახლეობის. მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს ფერმერებს, მშრომელ ხალხს შევუქმნათ პირობები“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.



მთავრობის გეგმაა, რომ მომდევნო 10 წლის განმავლობაში ღვინის ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა ერთ მილიარდ დოლარს მიაღწიოს

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შატო ზეგაანში, მეღვინეებთან შეხვედრაზე განცხადა. მთავრობის მეთაურმა მეღვინეებთან შეხვედრაზე დარგის მიმართულებით არსებული ვითარება, განვითარების კუთხით დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები მიმოიხილა და დარგის განვითარების საჭიროებების შესახებ ინფორმაცია პირადად მეღვინეებისგან მოისმინა.

აღინიშნა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, 2021 წლის რთველის მხარდასაჭერად სუბსიდირების პროგრამა განხორციელდება, რომლის განხორციელების მიზანია პანდემიით გამოწვეული ვითარება უარყოფითად არ აისახოს მევენახე ფერმერებზე და ღვინის მწარმოებლებზე, სრულად დაბინავდეს ყურძნის მოსავალი და შენარჩუნდეს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სტაბილური განვითარების დინამიკა. სუბსიდირების პროგრამის მხარდაჭერით, მოსავლის რეალიზაციას 25 000 -მდე მევენახე ფერმერი შეძლებს. რთველი 2021-ის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, თელავში 24-საათიანი სამუშაო რეჟიმით ამოქმედდება რთველის საკოორდინაციო შტაბი.

პრემიერ-მინისტრის თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საზღვრები გაიხსნა და ქართული ღვინო ექსპორტზე გავიდა ევროპის, ჩინეთის და არაერთი სხვა ქვეყნის ბაზარზე, რის შედეგადაც მეღვინეობის დარგმა დიდი პროგრესი განიცადა. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ათწლიანი განვითარების გეგმის შემუშავების მიზანი მეწარმეებსა და ფერმერებში სტაბილურობის განცდის გაჩენაა, რათა მათ გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმონ საკუთარი ბიზნესის განვითარება.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბოლო წლებში მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით განხორციელებულმა სწორმა დარგობრივმა პოლიტიკამ დარგი მნიშვნელოვნად გააძლიერა: 2012 წლის შემდეგ მოსავლიანობა 52 000 ტონიდან 300 000 ტონამდე გაიზარდა, გაშენდა 6400 ჰა ახალი ვენახი, 2012 წელს ღვინის ექსპორტიორი კომპანიების საერთო ჯამი არ აღემატებოდა 39-ს და დღეს 300-ზე მეტი ქართული ღვინის ექსპორტიორი კომპანიაა, შეიქმნა ახალი საწარმოები, გაუმჯობესებულია ღვინის ხარისხი, გაფართოვდა საექსპორტო ბაზრების არეალი, რეკორდულ რაოდენობამდე გაზრდილია ღვინის ექსპორტი, მუშაობს აგროკრედიტისა და აგროდაზღვევის სისტემა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო გამოწვევებს, რომელიც ბიზნესს პანდემიამ შეუქმნა. პრემიერ-მინისტრმა მეღვინეებთან ვაქცინაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მეღვინეებთან შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა, ვიცე-პრემიერი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, პარლამენტის დეპუტატები — დავით სონღულაშვილი, ირაკლი ქადაგიშვილი, დავით მათიკაშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი და სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში ირაკლი შიოშვილი.

„განახლებული რეგიონები“

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, აქტიური სამუშაოები ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს, — ამის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ შიდა ქართლის 4 მუნიციპალიტეტში პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების დათვალიერებისას განაცხადა. ირაკლი ქარსელაძე, შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ ვალერიან მჭედლიძესთან, საქართველოს პარლამენტის წევრ ზაზა დუგლაძესთან და მუნიციპალიტეტის მერებთან ერთად კასპში, გორში, ქარელსა და ხაშურში მიმდინარე პროექტების სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო.

პროგრამის ფარგლებში, ქალაქ გორში დაწყებულია ცენტრალურ (სტალინის) გამზირზე მდებარე შენობების, ხოლო კასპში მიმდინარეობს ქალაქის ცენტრში მდებარე შენობებისა და გიორგი სააკაძის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია. ასევე, დაწყებულია ქარელის ცენტრალური მოედნის, მიმდებარე შენობებისა და სკვერის, ხაშურში კი რკინიგზის სადგურის რეაბილიტაცია.

„სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს და მთელი რიგი დასახლებული ბლოკები არის მოცული, რომლის ფარგლებშიც ხდება როგორც მუზეუმების, ისე საცხოვრებელი სახლების, სახელმწიფო დაწესებულებების და, რა თქმა უნდა, პარკებისა და სკვერების რეაბილიტაცია. მოსამზადებელი-საიზოლაციო, გალესვისა და სხვა სამუშაოები უკვე დასრულებულია. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი ფუნქციების შექმნის მიმართულებით, სადაც სკვერებში და პარკებში გვექნება განახლებული და ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ ახალი სივრცეები ბავშვებისთვის, დამსვენებლებისთვის, მუნიციპალიტეტისა და ქალაქის მკვიდრებისა და ტურისტებისთვის. სამუშაოები ეტაპობრივად სრულდება. პირველი ეტაპის დასრულება სექტემბრისთვისაა დაგეგმილი და წლის ბოლომდე კიდევ უფრო მეტი პროგრესი გვექნება“, — განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ. 4-წლიანი პროგრამა, რომელიც საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს და მისი მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია, ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტისა და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.

პოლიციის ახალი შენობა - ომალოში

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა თუშეთში, სოფელ ომალოში პოლიციის ახალი შენობა გახსნა. სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებას მინისტრის მოადგილეები, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელები დაესწრნენ.

ომალოს პოლიციის შენობის მშენებლობა საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტის ფარგლებში განხორციელდა. შენობა სრულად შეესაბამება მაღალმთიანი რეგიონის პირობებს და აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. თუშეთში, ამ დრომდე სოფელ ომალოში პოლიციის და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადგილობრივი დანაყოფის შენობა არ არსებობდა. ტურისტულ სეზონზე, საჭიროების შემთხვევაში, მაშველების გამოძახება ახმეტის მუნიციპალიტეტში განთავსებული დანაყოფიდან ხდებოდა.

ახალ შენობაში პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები იმუშავებენ. სამუშაო სივრცის გარდა, ომალოს პოლიციის შენობაში განთავსებულია დასაკითხი, ამოსაცნობი, იარაღის შესანახი და ნივთმტკიცების საცავი ოთახები. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. ახალი შენობის დათვალიერების შემდეგ, ვახტანგ გომელაური თუშეთში მომუშავე თანამშრომლებს შეხვდა და მათ სამუშაო პირობებს დეტალურად გაეცნო.



ალექსანდრე თვალჭრელიძე:

„ოცნებამ“ ნაცმოძრაობა ბეჭებზე დადო...

ამ დროს კი, საიდანღაც გახარია გამოჩყვრა...

მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ 19 აპრილის შეთანხმებიდან გავიდა, ოპოზიციურ ფლანგზეც პროცესები საინტერესოდ ვითარდება. ჯერჯერობით ყველაფერი ცხადი არაა, მაგრამ გარკვეული კონტურები უკვე ჩანს. არჩევნებში ცალ-ცალკე გავლენ ნაციონალები და დანარჩენი ოპოზიციური პარტიებიც. ლოგიკურად, პატარა პარტიებს, რომლებსაც მოპოვებული აქვთ საპარლამენტო მანდატები, მაინცდამაინც არც აწყობთ ქვეყანაში ვადამდელი არჩევნების ჩატარება. არადა, ისეთი პირი უჩანს, ოპოზიციური ამომრჩევლების უმეტესობა სწორედ ვადამდელი არჩევნებზეა ორიენტირებული. ასეთ ვითარებაში პატარა, მაგრამ საპარლამენტო პარტიებს აშკარად გაუჭირდებათ ადგილობრივ არჩევნებში მათთვის სასურველი შედეგის მიღება.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ოპოზიციამ რიგგარეშე არჩევნები გადაიფიქრა და დიდად აღარც ხელისუფლების მიერ 19 აპრილის შეთანხმებაზე დარდობენ. მათი თქმით, ახლა რიგგარეშე არჩევნების ჩატარება ხელისუფლებას უფრო აწყობს, რადგანაც მისი მთავარი საფრთხე გიორგი გახარიაა, რომელიც პირდაპირ „ოცნების“ ელექტორატზე მუშაობს. ამიტომ მათ არა აქვთ გარანტია, რომ 2024 წელს ისინი ხელისუფლების ისევ შენარჩუნებას შეძლებენ. შესაბამისად, რაც უფრო მალე ჩატარდება რიგგარეშე არჩევნები, მათთვის უკეთესი იქნება.

წინასაარჩევნო კამპანია დაწყებულია, თუმცა კვლავ უცნობია ზუსტი თარიღი, როდის დაასახელებს ოპოზიციის ნაწილი თბილისის მერობის საკუთარ კანდიდატებს. მმართველი გუნდის ოპონენტები აცხადებენ, რომ ერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანება გამორიცხულია. ამ ეტაპზე, „ლელოს“ წარმომადგენლები საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, შიდა კონსულტაციებს აწარმოებენ. ამავე მიმართულებით მიმდინარეობს მსჯელობა „სტრატეგია აღმაშენებელშიც“.

პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი **გრიგოლ გეგელია** აცხადებს, რომ სწორი პრინციპებისთვის იბრძვის „ლელოსთან“ ერთად, რომლის მიზანიც ივანიშვილის დამარცხებაა.

პარტია „სტრატეგია აღმაშენებელის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი **სერგო ჩიხლაძე** აღნიშნავს, რომ მისი გუნდი მალე წარადგენს ევროპულ რამდენიმეფაზიან საარჩევნო კამპანიას.

საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ალექსანდრე თვალჭრელიძე** ფიქრობს, როგორც ოპოზიციაში, ასევე ხელისუფლებაში სიტუაცია საკმაოდ არეულია და ის პოლიტიკური დღის წესრიგი, რასაც ერთმანეთს 7 თვის განმავლობაში უყენებდნენ, ექსპრემიერმა გიორგი გახარიამ შეუცვალა. ამიტომ, ორივე მათგანი დაბნეულია და ვეღარ იგებენ საერთოდ რიგგარეშე არჩევნები რაში სჭირდებათ.

თუმცა თვალჭრელიძე დასძენს, რომ გახარია „ნაციონალური მოძრაობისთვისაც“ საფრთხეს წარმოადგენს, რადგანაც მათი რიტორიკა და დესტრუქციული ქმედებები საზოგადოებისთვის უკვე დამღლელი და მომაბეზრებელია. ამიტომ პარტიის რეიტინგი დღითიდღე იკლებს და მათაც რიგგარეშე არჩევნების ეშინიათ. ანალიტიკოსის აზრით, გახარია „ქართულ ჯიგრულ პონტში“ უცბად პოლიტიკაში დაბრუნდა და ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ცოტა ჩაჩოჩებისკენ მოუწოდა. ის მთლიანად ხელისუფლების რესურსს დააჯდა და ასევე ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის გადაბირებას ცდილობს. მას ვერც ენმ და ვერც „ოცნება“ პოლიტიკური თამაშის დღის წესრიგს ვერ უწესებს, ამიტომაც მის მიმართ ორივე მხრიდან შიში გაჩნდა. შესაბამისად, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნამ უკვე მეორე პლანზე გადაინაცვლა.

„გახარიამ პრემიერობის დროს დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. არადა, საქართველოში პირიქით არის ხოლმე. როცა ხელისუფლების სათავეში ხარ, ავტორიტეტი გივარდება. მან კი პირიქით მოახერხა. ამიტომ ეს მხოლოდ მისი პირადი რეიტინგია, რომელიც საკუთარი შრომით მოიპოვა, როგორი პილიტიკური განცხადებებიც არ უნდა კეთდებოდეს ორივე მხრიდან. ძალიან მომწონს, რომ ის ნაკლებად პასუხობს კრიტიკას, რომელიც ხშირად პარადოქსულად კომიკურია. ეს კი ამომრჩეველსაც მოსწონს და ამ ტოქსიკურ პოლიტიკურ გარემოში ის ყველაზე მიმზიდველად გამოიყურება. გახარია ჯერჯერობით სწორად თვლის ყველაფერს და ეს ორივე მხარეს აშინებს. ამიტომ არის, რომ ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ფიქრობს — საერთოდ რიგგარეშე არჩევნები აწყობთ? „ოცნება“ გაბრაზებულია, რადგანაც ენმ როგორც იქნა ბეჭებზე დადო და გახარია უცბად მოულოდნელად საიდანღაც გამოტყვრა. ესეც მათი შეცდომით მოხდა, მაგრამ გახარიამაც იჩქარა.

რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“, ახალი იდეების სრული არარსებობის პირობებში, პარტიის ტაქტიკა და სტრატეგია ერთმანეთში აერია. პარტიის ფორმალური თუ არაფორმალური მმართველებისგან (ვგულისხმობ საკაშვილს და მელიას), წლების განმავლობაში ნახმარ და ხავსმოკიდებულ განცხადებებს ვისმენთ. მელია იმუქრება, რომ ყურებით გამოათრევს მმართველ პარტიას პარლამენტიდან, სხვანი, ვინც ბიჭობას იფიცებოდნენ, რომ პარლამენტში არ შევიდოდნენ, ახლა გაუწითლებლად კომფორტულად სხედან საპარლამენტო სავარძლებში და ასე შემდეგ. ჰოდა, ხალხი მათ ერთ სიტყვასაც აღარ იჯერებს. ენმ-ს ნაბიჯ-ნაბიჯ უკან დახევა უწევს და საკუთარი ექსტრემისტული რიტორიკის მძევალი გახდა“, — ამბობს თვალჭრელიძე.

მისივე აზრით, ენმ ყოველდღიურად რეიტინგს კარგავს და ინტელექტუალური პოტენციალი ხელიდან ეცლება. ანალიტიკოსის აზრით, ოპოზიციაში კი მრავლადაა საკმაოდ ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო „ნაცმოძრაობასთან“ და ისინი ნიკა მელიას ხელში ატაცებულ ალამს არ გაყვებიან. ის ფსონს გიორგი გახარიაზე დებს და ამბობს, რომ თუკი რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება 2022 წელს ან 2024 წელს, ვერც ერთი პარტია უმრავლესობას ვერ მოიპოვებს. ამიტომ კოალიციური მთავრობის შექმნა გახდება საჭირო. ამ თვალსაზრისით კი, მარათონის ლიდერი ისევ გიორგი გახარია იქნება. მისი საჭიროება ყველასთვის დადგება...

ლიკა ბერიკაშვილი

კითხვაზე — „დღეს რომ ქალაქ თბილისის მერის არჩევნები ტარდებოდეს, რომელ კანდიდატს მისცემდით ხმას“? გამოკითხულთა 61.2% არჩევანს კახა კალაძეზე, ხოლო 38.8% ნიკანორ მელიაზე შეაჩერებს — ასეთია საერთაშორისო ორგანიზაცია GORBI-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. ტრადიციულად, ოპოზიციური სპექტრი კომპანია GORBI-ს კვლევის შედეგებს სანდოდ არ მიიჩნევს და რჩებათ შთაბეჭდილება, რომ კვლევა „ქართული ოცნების“ ოფისში ჩატარდა.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, თუ ჩავთვლით, რომ GORBI-ის კვლევა კორექტულად არის ჩატარებული, მელიას 38,8% მაინც დიდი პროცენტია.

რამაზ საყვარელიძე:

ოპოზიციის ნამგებიან სვლებს მარტო მტერი არ ხედავს!..

— დედაქალაქის მერობის კანდიდატები მხოლოდ „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაასახელეს და შესაბამისად, თბილისის მერობის კანდიდატებს შორის 61,2%-ით კახა კალაძე ლიდერობს, მაგრამ 38,8% აქვს ნიკანორ მელიას, გაცილებით მაღალი, ვიდრე მაშინ, როდესაც დავით ნარმანიამ მეორე ტურში გაიყვანა. მელიას 38,8% რამდენად რეალურია?

— შეიძლება ნარმანიას დროს მართლაც ნაკლები იყო მელიას რეიტინგი, მაგრამ მას მერე გადადგა მელიამ ხმაურიანი ნაბიჯები. ხმაური კი, ხელს უწყობს პოლიტიკურ რეიტინგს. რაც უფრო ხმაურიანია პოლიტიკოსი, მით უფრო მაღალი რეიტინგის შანსი აქვს. რაც შეეხება შედეგებს, ცოტა ძნელი დასაჯერებელია 38,8%.

— რატომ?

— არის IRI-ის კვლევა, რომლის მიხედვით „ნაციონალურ მოძრაობას“ ამხელა შედეგი არ ჰქონდა. მელიას ამომრჩეველი კი ნაციონალები არიან. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, ბოლომდე არ მესმის კვლევის შედეგები. საერთოდ, მოწონება ძალიან ბუნდოვანი რამეა. როცა მოწონებაზე ეკითხებიან (ეს კითხვა მოსწონს IRI-ის და NDI-ის), რითი მოსწონს ადამიანს პოლიტიკოსი, ეს ცოტა ძნელი გასარკვევია. შეიძლება ჩაცმულობით, ან თვალის ფერით და ა.შ. მოწონება ბევრ რამეს გულისხმობს და მათ შორის პოლიტიკურ საქმიანობას. ამიტომ, შეიძლება ძალიან მოგწონდეს, მაგრამ ხმა არ მისცე. თუკი არ დასვი კითხვა — ხვალ, რომ არჩევნები იყოს, ვის მისცემ ხმას? — მარტო მოწონების ნაწილში კითხვა ინფორმაციული პოლიტიკური რეიტინგისთვის არ არის.

— დედაქალაქის მერობის კანდიდატები მხოლოდ „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაასახელეს, ჯერჯერობით, სხვა კანდიდატები არ გვყავს, მაგრამ ის ციფრები, რომელიც GORBI-მა დადო, რაზე მეტყველებს?

— ისევ და ისევ, რა კითხვაა დასმული? თუ მოწონებაა კითხვა, მე არ ვიცი მოწონებიდან რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს. თუ იქნებოდა კითხვა — ხვალ, რომ არჩევნები იყოს — ასეთ შემთხვევაში მივიღებდით იმას, რომ აირჩევდნენ კალაძეს, რაც ისედაც სავარაუდოა. 61,2% თუ მყარი ციფრია, რა თქმა უნდა, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ კალაძე პირველივე ტურში იმარჯვებს, მაგრამ სპორტული ტერმინები რომ გამოვიყენოთ, გააჩნია როგორ გაიშლებიან სხვა კანდიდატები, რომ ერთმანეთს შეუტიონ. თუ მარტო კალაძე და მელია დარჩა მნიშვნელოვან ფიგურად, კალაძე პირველ ტურში გაიმარჯვებს.

— თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკური პარტიების სიმრავლეს, ჯერჯერობით მერობის კანდიდატები წარდგენილი არ ჰყავთ, არც გახარია ჩქარობს, მიუხედად იმისა, რომ იყო მოლოდინი გახარიას პარტია იქნებოდა მთავარი კონკურენტი. ოპოზიციის პასიურობა ადასტურებს, რომ მთავარი ფიგურანტები იქნებიან კალაძე და მელია?

— რაღაცა პერიოდი იყო საუბარი, რომ გახარია წარმოადგენდა არველაძის კანდიდატურას, თვითონ გახარიაზეც იყო საუბარი, მაგრამ უშუალოდ გახარია სხვა კალიბრის ფიგურაა, მეეჭვება მის ინტერესში იყოს თბილისის მერობა. მაგრამ თუ არველაძის კანდიდატურა წარმოადგინა, მაშინ ძნელი სათქმელია, როგორ გადათამაშდება ძალები — თბილისისთვის არველაძე ნამდვილად მისაღები და პოპულარული ფიგურაა, ისევე როგორც კალაძე.

ოპოზიციის რიგებში მორალური და პოლიტიკური უპირატესობის მუხტი, რაც ბრძოლას სჭირდება, ცოტა ჩამქრალია. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს, გაერთიანების ცენტრი გაურთულდათ, საერთოდ, ერთმანეთთან ურთიერთობა გაურთულდათ, ნახევარი წელი ქუჩაში იდგნენ და ვერავინ ვერ გაიგო რატომ იდგნენ. წამგებიან სვლებს მარტო მტერი არ ხედავს, მოყვარეც ხედავს.

ნაციონალებს ძალიან ბევრი წამგებიანი ნაბიჯი დაუგროვდათ და მე მგონია, რომ ამანაც, გარკვეული თვალსაზრისით, დაუკარგა ამომრჩეველი და იმანაც, რომ ვერაფრით ვერ მოახერხეს ხალხის საჭირო რაოდენობის მობილიზაცია. ამ ყველაფერმა ჩაუქრო მათ საბრძოლო განწყობა. ოპოზიციის ამოცანაა საპარლამენტო არჩევნებამდე მიღწევა. თვითმმართველობის არჩევნზე რეალურ ამოცანას არ ისახავენ, რადგან შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს „ოცნების“ კანდიდატის უპირატესობა.

— ის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაუშვა შეცდომები და ამას ამომრჩეველი ხედავს, ეს პირდაპირ იკითხებოდა IRI-ის კვლევაში, მაგრამ „გორბის“ კვლევა მელიას ნაწილში ამბობს, რომ 38,8% უჭერს მხარს. მელიას პოლიტიკური შეცდომების მიუხედავად, როგორ ფიქრობთ 38,8% არ არის მაღალი მაჩვენებელი?

— ძნელი სათქმელია პოლიტიკაში სად არის შეცდომა და სად არა. იმიტომ, რომ ხმაურიანობა უკვე მომგებიანია, მოსახლეობას ამახსოვრდება. მაგრამ თუ ჩავთვლით, რომ „გორბის“ კვლევა კორექტულად არის ჩატარებული, მაინც მიმაჩნია, რომ დიდი პროცენტია.

კორექტულობას იმ მხრივ ვამბობ, რომ სოციოლოგიაში ყველაზე კორექტული არის მაქსიმალური მიახლოება იმ ვითარებასთან, რაზედაც აკეთებ პროგნოზს. თუ არჩევნებზე აკეთებ პროგნოზს, მაშინ უნდა ჰკითხო, ვის მისცემს ხმას და აღარ უნდა დაიწყო ლაპარაკი იმაზე, მოგწონს თუ არ მოგწონს. ამიტომ, კითხვაზე — ხვალ რომ არჩევნები იყოს, ვის მისცემ ხმას? — პასუხად, რომ მიგველო 38,8% ძალიან მაღალი იქნებოდა. თუ გაიხსენებთ IRI-ის და NDI-ის კვლევებს, იქ მოწონების და არჩევის პასუხები ერთმანეთს არ ემთხვევა.

— გასაგებია, რომ ახალი კანდიდატების შემოსვლით ეს პროცენტი შეიცვლება, მაგრამ რამდენად იქონიებს გავლენას ახალი კანდიდატების შემოსვლა და იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ თბილისში მეორე ტური გამორიცხულია?

— იმდენად პოპულარულია კალაძე, რომ დიდი შანსია იმისა, თბილისში მეორე ტური არ შედგეს. მაგრამ, მეორე მხრივ, გამორიცხული არაფერია, სანამ არ გვეცოდინება თბილისის მერობის კანდიდატების სრული ნუსხა. ჯერ ვსაუბრობთ მხოლოდ ორ ფიგურაზე და მარტო ორ ფიგურაზე თქმა ძნელია. თუ, რომელიმე პარტიამ, ან ე.წ. ფანჩატურის ოპოზიციამ, ან გახარიას ოპოზიციამ იპოვეს ძალიან „თავშისაცემი“ ფიგურა, რაც ძალიან ძნელია, მაგრამ დაუშვათ იპოვეს, მერე უკვე თავიდან უნდა დადგეს საკითხი მეორე ტური იქნება თუ არა. რაც შეეხება რეგიონებს, არც ერთ რეგიონში არ გამოვრიცხავ მეორე ტურის ჩატარებას.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

Beka Beridze (RFE/RL)

ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲖᲔ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲮᲐᲜᲐ

„ᲓᲦᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲡ – ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ 900 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ.

დიდგორობა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერთიანობის და ძლიერების, ქვეყნისთვის თავდადების სიმბოლოა. ამავე დროს ეს არის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი გასაოცარი სამხედრო-სტრატეგიული წარმატების მაგალითი.

დიდგორზე ქართულმა მხედრობამ შეუძლებელი შეძლო. შემთხვევითი არ არის, რომ ამ გამარჯვებას დავითის ისტორიკოსმა „ძლევაი საკვირველი“ უწოდა.

ქართველობამ – ერმა და ბერმა, დიდი დავით აღმაშენებლის მეთაურობით ამ გამარჯვებას ერთიანობით, მიზანმიმართული შრომით, სიბრძნით და რა თქმა უნდა, სამშობლოსთვის თავგანწირვით მიაღწია.

დიდგორზე ბრწყინვალე გამარჯვების გარეშე არ იქნებოდა საქართველოს ოქროს ხანა – დავითისა და თამარის, რუსთველისა და ოპიზრების ეპოქა, იყალთოსა და გელათის აკადემიები, ქართული ეკონომიკისა და განათლების არნახული აღმავლობა – ყველაფერი ის, რითაც დღესაც არა მხოლოდ სამართლიანად ვამაყობთ, არამედ სამომავლოდაც ორიენტირებად ვისახავთ.

მე აქვე მინდა გავიხსენო ჩვენი პატრიარქის, უწმინდესის სიტყვები – დიდგორი ჯერ კიდევ მოსაგებია! დღეს, დიდგორის ბრძოლის ცოცხალი მაგალითი გვასწავლის, რომ ერთიანობა ყველაზე დიდი ძალაა. ამ მიწაზე მცხოვრები ყველა ხალხის საერთო, მიზანმიმართული, ყოველდღიური შრომა და ბრძოლა საქართველოს ძლიერების, თითოეული ჩვენი თანამოქალაქის კეთილდღეობისა და მშვიდობის წინაპირობაა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ამ დღეს ჩვენს ხალხს და გამთლიანებას, გაძლიერებასა და განვითარებას ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას, ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“ – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲓᲒᲔᲜᲘᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ! ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

900 ᲬᲔᲚᲘ გავიდა დიდგორის გამარჯვებიდან, თუმცა დიდგორით აღფრთოვანება ხშირად ხელს გვიშლის დავით აღმაშენებლის რეფორმების სრულყოფილ გააზრებაში. გვიჭირს დავინახოთ დიდი სამხედრო გამარჯვების მიღმა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის უფრო მასშტაბური ბრძოლები და გამარჯვებები, რამაც შექმნა თანამედროვე საქართველო!

დავით აღმაშენებელმა შექმნა თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე სტრუქტურებით და თანამედროვე ჯარით, სახელმწიფოში დანერგა ის ქრისტიანული და უნივერსალური ფასეულობები, რითაც მოვედით დღემდე - ტოლერანტობა, როგორც ქართული სახელმწიფოს სიძლიერის ფუნდამენტი და მისი ცივილიზაციის მონაპოვარი.

დღეს ტოლერანტობის ეს ტრადიცია ახლებურად უნდა გავიაზროთ, თანამედროვე საქართველოში უნდა შევქმნათ გარანტია თავისუფალი და ყველასათვის დაცული საზოგადოების. დავითის მსგავსად განათლებას და კულტურას უნდა მივანიჭოთ სახელმწიფოში ფუნდამენტური მნიშვნელობა.

900 წლის წინ დიდგორი იყო ის ბრძოლა, საიდანაც საქართველო კავკასიის ხალხებთან ერთად, მიუხედავად რელიგიური და ეროვნული ნიშნებისა, გამოვიდა გამარჯვებული. ეს არა მხოლოდ ეროვნული სიამაყის საფუძველია, არამედ ასევე ჩვენი კავკასიური მომავლის გზასაც წარმოადგენს.

დიდგორი დღეს ვერ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ ვადიდოთ ჩვენი წინაპრების თავდადება, ვიამაყოთ ამ ღირსეული წარსულით და გმირობით.

დღევანდელი ჩვენი დიდგორის ბრძოლა მოსაგებია. დღევანდელი დიდგორი პანდემიასთან ომია, რომელიც ემუქრება ჩვენს მოსახლეობას და მაშასადამე, სახელმწიფოს, და რომელმაც ჩვენი 6278 მოქალაქე უკვე იმსხვერპლა! ნუთუ ეს, ამ მცირერიცხოვანი ერისათვის, არ უდრის ბრძოლის ველზე დიდ დანაკარგს? დიდგორი დღესაც ჩვენი მოსაგებია, თუნდაც ეს არ იყოს საომარ ველზე! ჩვენ ნამდვილ ბრძოლაში ვიმყოფებით და ამ ბრძოლაშიც, როგორც 900 წლის წინ, უნდა ვიყოთ წინდახედულნი, გამბედავნი და ერთად შეკრულნი.

სამწუხაროა, რომ ეს საკითხიც კი გახდა ნიშნის მოგების, პოლიტიზირების და ერის დაპირისპირების საგანი. სრულიად მიუღებელია, რომ გარედან, კომფორტში მყოფი ზოგი, ვითომც პოლიტიკოსი ბედავს და ცილს წამებს, შეურაცხყოფას აყენებს იმ მედიცინის სამყაროს თავდადებულ პიროვნებებს, რომლებმაც, გარდა იმისა, რომ საქართველოს მედიცინა საზღვარგარეთ ასახელეს, უკვე წელიწადნახევარზე მეტია მუხლჩაუხრელად ემსახურებიან ხალხს და მათი სიცოცხლის გადარჩენას. დღეს ესენი არიან ჩვენი დიდგორისეული გმირები და დიდად პატივსაცემი, თავდადებული პროფესიონალები. მათ უნდა ვუთხრათ მადლობა!

აქაც, როგორც ყველა დიდი გამოწვევის წინაშე, მთავარი ამოსავალი წერტილი და გამარჯვების ერთადერთი გასაღები ჩვენს ერთობაში იყო და არის კიდევაც!

ამ ერთობას საქართველოს ეკლესია განასახიერებდა, მტერზე გამარჯვებას წინ უძღოდა და ერს ზურგს უმაგრებდა. დღესაც აუცილებელია, რომ ეკლესიამ ამ გადარჩენის ბრძოლაში თავისი კუთვნილი და უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. ქართული ეკლესია მუდამ პიროვნული თავისუფლების, არჩევანისა და პასუხისმგებლობის მხარეს იდგა და დღესაც დგას, თუმცა დღეს კურთხევის გარეშე ძნელი წარმოსადგენია მინიჭებული თავისუფლების რეალური განხორციელება! ასეთია დღეს ეკლესიის გამოწვევა და საპასუხისმგებლო არჩევანი, რამეთუ, ეს ბრძოლა ყველამ ერთად უნდა მოვიგოთ, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებმა, სახელმწიფო უწყებებმა და მეთაურებმა, საზოგადოებამ და ეკლესიამ. ყველანი ვიქნებით ხვალინდელ შედეგზე პასუხისმგებლენი!

დიდგორისეული ბრძოლები დღეს ჩვენი საზღვრებით არ შემოიფარგლება. გლობალური საფრთხეები (და აქ მხოლოდ პანდემიას არ ვგულისხმობ) მოითხოვს გლობალურ პასუხს და გლობალურ სოლიდარობას. ამ დღეებში ჩვენს მეზობელ და მეგობარ ქვეყნებში განვითარებული ტრაგედიების მომსწრე გავხდით – საბერძნეთი, იტალია, თურქეთი აღმოჩნდნენ წარმოუდგენელი გამოწვევების წინაშე. ჩვენ მათ ვუცხადებთ სოლიდარობას და თანადგომას. ამავე დროს, მინდა, ვისარგებლო ამ საშუალებით და ჩემი თანადგომა გამოვუცხადო ჩვენი დიასპორის წევრებს, რომლებიც ცხოვრობენ ამ ქვეყნებში და ინაწილებენ ამ ქვეყნების ბედს და სატკივარს.

კლიმატის ცვლილებების საფრთხეებიდან გამომდინარე, ჩვენ გვევალება მზადყოფნა. ჩვენი მეზობლების მაგალითი გამაფრთხილებელ ნიშნად უნდა მივიღოთ. აუცილებელია ჩვენი ქვეყანა მზად იყოს შესაძლო გამოწვევებთან გასამკლავებლად. მომზადებული უნდა იყოს შესაძლო სცენარები, საპასუხო გეგმები და გათვლილი ლოგისტიკური საჭიროებები. ეს იმის საწინდარია, რომ ხვალინდელ დღეს და შესაძლო საფრთხეებს დავხვდეთ მზად და შემართებით.

დიდგორობას გილოცავთ და მინდა გისურვოთ, რომ ხვალ, მომავალმა თაობებმა ასეთივე სიამაყით გაიხსენონ ჩვენი გამარჯვებები!

არ დაგვავიწყდეს, რომ ქვეყნის გაერთიანების, გამთლიანების და განვითარების მთავარი მშვიდობიანი ბრძოლა წინ გვაქვს!

გმადლობთ.

ბოლო პერიოდში ინტერნეტ-სივრცესა და პრესის ფურცლებზე (იხ. „საერთო გაზეთი“, მ.წ. 14 ივლისი) გამოითქვა სრულიად დაუსაბუთებელი კრიტიკული შენიშვნები „ქართლის ცხოვრების“ 2008 წლის გამოცემის შესახებ.

ქართული კულტურის ამ უნიკალური ძეგლის მეცნიერული შესწავლა, რომელსაც XIX საუკუნის 40-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მ. ბროსემ, მკვლევართა თაობების შეუნელებელი ყურადღების საგანი იყო და არის. დღეისათვის სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა „ქართლის ცხოვრების“ ორი ძირითადი ციკლი – ძველი „ქართლის ცხოვრება“ და ახალი „ქართლის ცხოვრება“. მათ შორის განსხვავებას ხაზი გაევლო XVIII ს. დასაწყისში, როდესაც ვახტანგ VI-ის თაოსნობით შექმნილმა „მეცნიერ კაცთა“ კომისიამ ქართლის ცხოვრების“ ტექსტში შეიტანა ახალი მასალა, სახელდობრ, პეტრე ქართველის ცხოვრება, წმ. ასურელი მამების, მათ შორის, დავით გარეჯელის მოღვაწეობის შესახებ ვრცელი თხრობა.

პრეტენზიის და აღშფოთების საფუძველი არ არსებობს!

„ქართლის ცხოვრების“ 2008 წლის გამოცემის შესახებ

პატრიარქისგან ქართლის კათოლიკოსის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ; ინფორმაცია VI მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ ქართლის კათოლიკოსის სტატუსის ამაღლების შესახებ; ვრცელი თხრობა დავით და კონსტანტინეს წამებაზე და სხვ. ესაა ის ინფორმაცია, რომელიც არა გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგამდელ ხელნაწერებში.

„ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების გამოვლენა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც, როგორც აღვნიშნე XIX ს. 40-იან წლებში დაიწყო. ბოლო აღმოჩენას ადგილი ჰქონდა 1959 წელს. ძეგლის ხელნაწერები თავს იყრიდა პეტერბურგისა და მოსკოვის სიძველეთსაცავებსა და კერძო კოლექციებში, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმისა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საცავებში. დღეისათვის აღნიშნული ხელნაწერები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და, ბუნებრივია, „ქართლის ცხოვრების“ 2008 წლის გამოსაცემად მომზადება აღნიშნული ცენტრის (იმხანად კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი) ბაზაზე განხორციელდა. შემოქმედებითი ჯგუფი, რომელსაც ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მომზადება დაეკისრა, ძირითადად ამ დაწესებულების გამოცდილი სპეციალისტებით დაკომპლექტდა, რომელთა მაღალი კვალიფიკაცია და კომპეტენცია საყოველთაოდ არის აღიარებული. შემოქმედებითი ჯგუფის ამოცანა იყო ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მომზადება და, სავსებით ბუნებრივია, ტექსტოლოგებმა ეს ამოცანა განახორციელეს სწორედ ძველი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების მიხედვით. ამიტომ **სრულიად გაუგებარია 2008 წლის გამოცემის კრიტიკოსთა აღშფოთება, თუ რატომ არ არის აღნიშნულ გამოცემაში ვრცელი ინფორმაცია წმ. ანდრია პირველწოდებულისა და სხვა მოციქულების, წმ. ასურელი მამების, მათ შორის, დავით გარეჯელის, წმ. დავით და კონსტანტინეს წამების შესახებ. პასუხი ძალიან მარტივია. ეს ინფორმაცია არ**

„საერთო გაზეთში“ (14 ივლისი, 2021 წ., 3 25) გამოქვეყნდა კოლეგიტორი (!) წერილი (წერილის პათოსის გათვალისწინებით,შემდგომში – კოლეგრერილი) სათაურით – „უმეცრება თუ მიზანმიმართული დანაშაული? ვინ, რატომ და რა მიზნით გამოსცა საქართველოს ისტორიის მთავარი სახელმძღვანელო, „ქართლის ცხოვრება“ 2008, 2012 წლებში გაყალბებული სახით?“. **წერილს ხელს აწერს სხვადასხვა პროფესიის 14 პირი ბათუმიდან.**

კოლეგერილი მოცულობითია და გაზეთის ორი გვერდი უკავია. მის ავტორებს „აღშფოთნენ“, რომ „ქართლის ცხოვრების“ 2008 და 2012 წლების გამოცემებში ამოღებულია მოციქულთა მოღვაწეობა, მათ შორის, ანდრია პირველწოდებულის ამ მიზნით გაკეთილი გზა აჭარაში, ვიდრე დიდაჭარამდე. წერილში ეს ფაქტი მიჩნეულია ისტორიის შეგნებულ გაყალბებად, „გარყვნად“ (ვახტანგ VI-ის ტერმინია), შეტევა – „ვინაალაზმად და, აქედან გამომდინარე, „ტაბულარიუალად არის მოთხოვნილი მკაცრი ზომების გატარება.

კოლეგერილს აშკარად ტაცვია საქმეში მეტნაკლებად, პროფესიონალის დონეზე არა, მაგრამ, რომ ტაცვიან, შორიახლო ჩახედული კალმოსნის ხელი (სხვათა შორის, მეგარი აზრის გატარებაც შეიძლება მოჩვენებითად მაღალ დონეზე). სწორედ ამ ფაქტმა გამიჩინა ეჭვი. საქმეში ამ უფროსელოვანესი საკითხისადმი, ისტორიული ძეგლის გაყალბებელთა თანამაზრეობის ტოლფასია“;

აღნიშნული „ქართლის ცხოვრების“ გამომცემლებმა „საქართველოში I საუუუნეში წმინდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის ქადაგების ამსახველი ისტორიის განადგურებით, ისტორიის გაყალბებლებმა ქართველ ერს გამოაცალეს სამოციქულო ეკლესიის საფუძვლები“;

მათივე აზრით, (თურმე) „როგორც ჩანს, ეს არის იდეოლოგიური ბრძოლის მზაკვრული ფორმა ქართველი ერისა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. ეს არის საქართველოს ისტორიის იმ უფროსელოვანესი ნაწილის განადგურება, რომელსაც საუკუნეების მანძილზე

პროვინციული ასკინკილა, ჭაობი თუ სულაც ფსკერი!

მათი წამოდგენით, „რამეთუ გულგრილობა და დუმილი ამ უფროსელოვანესი საკითხისადმი, ისტორიული ძეგლის გაყალბებელთა თანამაზრეობის ტოლფასია“;

ავტორებს „ქართლის ცხოვრების“ 2008 და 2012 წლების გამოცემების მეცნიერული“ დაგვვინყდეს, რასაც დაბეჯითებით წერენ კოლეგერილში. მართლაც უცხო სამყაროდან უნდა იყო მოსული, რომ დღევანდელ საქართველოში სამეცნიერო წიგნის გამოცემით გამდიდრება ირწმუნო. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, თუ რა ძალისხმევაა საჭირო და რამდენი ვინმე უნდა შეაწუხო წიგნის გამოსაცემად. მოკლედ, „ქართლის ცხოვრების“ გამოცემის გამდიდრების აღმოჩენით კოლეგერილის ავტორთა ჯგუფი შეიძლება გინეს წიგნშიც აღმოჩნდეს.

ამ ცილისწამების ავტორებმა დაასახელონ ძველი „ქართლის ცხოვრების“ თუნდაც ერთი ხელნაწერი, რომლის ინფორმაციაც წმ. ანდრია პირველწოდებულისა და სხვა მოციქულების შესახებ 2008 წლის გამოცემაში არაა შეტანილი!“

უნდა ყოფილიყო ძველი „ქართლის ცხოვრების“ 2008 წლის გამოცემაში, რადგან იგი არ გვხვდება ძველი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში. ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გამოცემის პროცესი 1906 წ. დაიწყო, როდესაც ე. თაყაიშვილმა გამოაძვეყნა ძველი „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხა, შექმნილი 1633-1645 წლებში, შემდეგ 1942 წელს ს. ყაუხჩიშვილმა გამოსცა „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ვახტანგამდელ ხელნაწერებს ემყარებოდა. ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი გამოიცა 1996 წელსაც ი. ანთელავას და ნ. შოშიაშვილის მიერ. არც ერთ ამ გამოცემაში ოპონენტების მიერ მოსაკლისებული ინფორმაცია არ არის ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია ამ გამოცემებისათვის რაიმე მასალის „ამოღების“, მით უფრო, „განადგურების“ პრეტენზია წაეყენებინა, ვინაიდან ასეთი პრეტენზიის საფუძველი გუნებაში არ არსებობს.

რაც შეეხება „სადავო“ ვრცელი ინფორმაციის შემცველ ახალ „ქართლის ცხოვრებას“, ის გამოიცა 1849 წელს მ. ბროსეს და 2017-2020 წლებში პროფ. გ.არახამიას მიერ. აღნიშნული ინფორმაცია, როგორც ვახტანგ VI-ის „მეცნიერ კაცთა“ კომისიისა და შემდგომი რედაქტორების მიერ შეტანილი ჩანართები, წარმოდგენილია 1955 წელს ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში.

ყველაფერ ამის ფონზე სრულიად უსაფუძვლოა კოლექტიური წერილის ავტორთა პრეტენზიები, მით უფრო, ბრალდება განზრახ რაიმე ინფორმაციის „ამოღებასა“ ან „განადგურებაზე“.

ზაზა აბაშიძე,
კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი.

კახა კალაძე:

ყოველდღიურად ვგრძნობ თბილისელების მხარდაჭერას, რასაც ძალიან ვაფასებ

„ჩემთვის ყველაზე მთავარი არის ჩვეულებრივი, რიგითი თბილისელების, ამ ქალაქის მცხოვრები ადამიანების მხარდაჭერა, რასაც მე ვგრძნობ ყოველდღიურ რეჟიმში. ისევ და ისევ, ეს გამოწვეული არის ჩვენი გაკეთებული საქმეებით, თბილისში განხორციელებული პროექტებით, რასაც ძალიან ვაფასებ. მადლობელი ვარ ამ მხარდაჭერისთვის და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კიდევ უფრო მაგარი პროექტები გავაკეთოთ, კიდევ უფრო საინტერესო და კომფორტული გავხადოთ ჩვენი ქალაქი“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, კახა კალაძე თბილისის მერის არჩევნებს პირველივე ტურში იგებს, პარტიების შორის ხმების გადანაწილება კი აჩვენებს, რომ „ქართულ ოცნებას“ 46%-ზე მეტი აქვს. ამავე კვლევის თანახმად, დედაქალაქის საკრებულოს უმრავლესობას მმართველი პარტიის კანდიდატები დააკომპლექტებენ.

დიდუბის **რაიონის გამგეობამ აკაკი წერეთლის სახელობის პარკის სრული რეაბილიტაცია დაასრულა.**

თბილისის მერიის ინფორმაციით, სამუშაოები, დაახლოებით, 10 000 კვ.მ ფართობზე ჩატარდა. დასრულებულ სამუშაოებს თბილისის მერი, კახა კალაძე გაეცნო.

„დიდუბის რაიონში მორიგი საპროექტო სამუშაოები დასრულდა. ეს არის „დინამოს“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორია, ე.წ. წერეთლის სკვერი, რომელიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და მისი სრული განახლება მოხდა. დენდროლოგია მთლიანად შეიცვალა და მოწესრიგდა. ასევე, სარწყავი და განათების სისტემები შეიცვალა და შეიქმნა კიდევ ერთი ძალიან კარგი დასასვენებელი სივრცე. არსებული ტერიტორია, დაახლოებით, 10 000 კვ.მ-ია. მოქალაქეებს აქვთ საშუალება,

განახლებული აკაკი წერეთლის სახელობის პარკი

ჩამოვიდნენ და დაისვენონ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საპარკე კულტურა შემოდის და მათით ყველა ასაკის ადამიანი სარგებლობს. მომდევნო წლების განმავლობაში, ჩვენი მიზანი და ამოცანა იქნება, რომ მსგავსი სივრცეები ყველა რაიონსა და უბანში განახლდეს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ვანდალიზმის ფაქტების პრევენციის მიზნით, პარკში განთავსდება ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, რომლითაც ტერიტორიის კონტროლი 24 საათის განმავლობაში იქნება შესაძლებელი.

პარკის სრული რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 903 600 ლარს შეადგენს. სამუშაოები კომპანია „არბამ“ განახორციელა. თბილისის მერთან ერთად, ადგილზე დიდუბის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვეკუა და რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ვლადიმერ ძნელაძე იმყოფებოდნენ.

სამშობლოს არვის დავუთმობ...

სამშობლოსთვის ცოტა გაგიკეთებია, თუ ყველაფერი არ გააკეთე.
მაქსიმილიან რობესპიერი

ყველაფერი გააკეთა სამშობლოსთვის

მაიორმა შალვა დოლიძემ ყველაფერი გააკეთა სამშობლოსთვის, რაც კი შეძლო. სიცოცხლის ბოლო წუთებშიც საქართველოზე ფიქრობდა, ადარდებდა ცხინვალის რეგიონის სოფლებში მცხოვრები ადამიანების ბედი. თავგანწირულად იბრძოდა იმისთვის, რომ სოფლებში არავინ ჩარჩენილიყო, რათა როკის გვირაბით შემოსულ ოკუპანტებს და სეპარატისტებს ტყვედ არ აეყვანათ მშვიდობიანი მოსახლეობა.

შალვა ცეცხლის წინა ხაზზე იყო და როგორც ბატალიონის მეთაური, თანამებრძოლებთან ერთად მკერდით პირველი ეგებებოდა მტრის შემოტევას.

მასიური საარტილერიო ცეცხლის მოგერიება არ უჭირდა ქართულ ჯარს, მაგრამ, როცა რუსეთის ავიაციამ დაბომბვა დაიწყო, ქართულ საბრძოლო პოზიციებზე მყოფი ჯარისკაცების თავდაცვისუნარიანობა შესუსტდა. თუმცა, მებრძოლებს მხნეობას და ენერგიას მატებდა ბატალიონის მეთაურის მათ გვერდით ყოფნა — შალვა დოლიძის სამაგალითო თავდადება და პრინციპულობა ბრძოლის ველზე სხვათა სიმამაცესაც აასკეცებდა.

მეოთხე ქვეითი ბრიგადის 41-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის პირადი შემადგენლობა 2008 წლის 7 აგვისტოდან 11 აგვისტომდე მონაწილეობდა რუსულ-ქართულ კონფლიქტში. შიდა ქართლში დღემდე საარაკოდ ყვებიან ამ ბიჭების თავგანწირვის ამბავს. სწორედ მათზე მოდიოდა მოწინააღმდეგის პირველი დარტყმა. ისინი იქცნენ დამცავ რკალად დანარჩენი საქართველოსთვის. ევნენ, ეწამენ, სისხლი ღვარეს... და მაინც, საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი ვერ შეძლეს გმირებმა ძალით და რიცხვით უთანასწორო მტრის შეკავება.

9 აგვისტოს, დაახლოებით დღის 14 საათზე მებრძოლთა თვალწინ გმირულად დაიღუპა ბატალიონის მეთაური შალვა ზაურის ძე დოლიძე. ბრძოლით დაღლილ და გაწამებულ ქართველ ჯარისკაცებს სისხლი გაეყინათ ძარღვებში. უფრო გახელებით ეკვეთნენ მტერს, ბრძოლის ველს კი დიდი სიმამაცის წყალობით გამოარიდეს სამაგალითო მეთაურის ჯერაც თბილი ცხედარი.

სიკვდილის შემდეგ მაიორ შალვა დოლიძეს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობის, მამაცობისა და თავდადებისთვის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი მიენიჭა.

თუმცა, გონიერ, პრინციპულ და თავისი ქვეყნის პატრიოტ სამხედრო მოსამსახურეს არც სიცოცხლეში დაჰკლებია მადლობები და სიგელები.

შალვა დოლიძე ცოლშვილიანი იყო. მას მეუღლე მეგი არველაძე-დოლიძე და ერთადერთი ვაჟიშვილი, ოთხი წლის ლუკა დარჩა. მის შვილს ამაყად შეუძლია, იაროს მამის დანატოვარი სახელით.

დაიბადა რუსეთში, ქალაქ ჩიტაში, 1977 წლის 21 სექტემ-

ბერს, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. მამა — ზაურ შალვას ძე დოლიძე იმ პერიოდში სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსი გახლდათ.

ექვსი წლის იყო, როცა დედა ანა ნიკოლაძე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ოჯახის უფროსი თბილისში გადმოიყვანეს სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად და ყმაწვილმა სწავლა თბილისის 165-ე საშუალო სკოლაში განაგრძო, 1995 წელს კი თბილისის სამხედრო აკადემიაში ჩაირიცხა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. გაიარა თითქმის ყველა სამხედრო საფეხური — იყო ოცმეთაური, ასმეთაური, დიდხანს მუშაობდა გაერთიანებულ შტაბში.

კვალიფიკაციის ასამაღლებლად რამდენჯერმე იმყოფებოდა თურქეთში, გერმანიაში, უნგრეთში, ერაყში...

ყოველთვის და ყველგან გამოირჩეოდა საქმის ერთგულებით, პატიოსნებით, კეთილსინდისიერებით. ეამაყებოდა სამხედრო ფორმის ტარება.

საუკეთესო მეთაურის ყველა თვისება ჰქონდა, განუწყვეტლივ ზრუნავდა თანამებრძოლებისთვის, ახლობელი ადამიანებისთვის.

ამიტომაც ის 2008 წლის 15 აპრილს 41-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მეთაურად დაინიშნა. ომამდე მიენიჭა III ხარისხის მედალი უმწიკვლო სამსახურისთვის, მიღებული ჰქონდა, ასევე, მედალი საბრძოლო დამსახურებისთვის.

2008 წლის 9 აგვისტოს, როცა რუსი აგრესორები მასიურად ბომბავდნენ სამაჩაბლოს, მისი ბატალიონი შესული იყო ცხინვალში და იცავდა ქართულ მიწას.

თბილისის ერთერთ ქუჩასა და სკვერს ეწოდა მისი სახელი, ხოლო სახლს, სადაც ცხოვრობდა, გაუკეთდა მემორიალური დაფა.

დაკრძალულია თბილისში, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე.

სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი და მედალი „სამშობლოსთვის თავდადებული“.

მდინარესავით იდინოს და ამაყად იაროს ქართველთა მოდგმამ შალვა დოლიძის სახელობის ქუჩაზე. მაიორმა ხომ სწორედ სამშობლოს სიყვარულს, მისი უკეთესი მომავლისთვის ბრძოლას შესწირა ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი — საკუთარი სიცოცხლე.

საძართველო თავდავიწყებით უყვარდა. სამშობლოს ვის დავუთმობ, სოხუმამდე ვივლიო — იცოდა თქმა. სკოლაში სწავლისას სულ თავისუფალ თემებს ირჩევდა დასაწერად — იქ იხსნებოდა სრულიად და გადმოსცემდა თავის საფიქრალს.

მიხეილ და ლილი ბეჟუაშვილებს ორი ვაჟი ჰყავდა და ორივე ომში იბრძოდა. ორივე IV ბრიგადაში მსახურობდა. სოსო — 42-ე ბატალიონში, ორი წლით ძმაზე უმცროსი გიორგი კი — 43-ე ბატალიონში.

სოსო ბრძოლის ველზე დაეცა. გიორგი, საბედნიეროდ, ომიდან დაბრუნდა.

კაპრალი **იოსებ ბეჟუაშვილი** ბრძოლისას პირნათლად ასრულებდა მეთაურის მიერ მიცემულ საბრძოლო ამოცანებს და მისი მოქმედება საშუალებას აძლევდა სხვებს, დაჭრილები ბრძოლის ველიდან გამოეყვანათ.

ოცი წლის სოსო II მსუბუქი ქვეითი ათეულის საცეცხლე ჯგუფის მეთაური იყო.

რომ არა ეს ომი, არავითარ შემთხვევაში არ აიღებდა ხელში იარაღს უწყინარი, მორიდებული, თითქოს თანდაყოლილი ინტელექტით აღსავსე ქართველი ბიჭი... მთელი არსებით უყვარდა გორელი გოგონა — ერაყს მოვივლი და დავოჯახდებიო, — ამბობდა. სექტემბერში ერაყში მიდიოდა სამშვიდობო მისიით — არ დასცალდა...

მშობლებს მაინცდამაინც არ უნდოდათ მისი სამხედრო სამსახურში ყოფნა. დედა ჰპირდებოდა, ყველანაირად ხელს შეუწყობდა, მოამზადებდა, უმაღლესში რომ ჩაებარებინა. სოსომ ერთხანს ღვინის ქარხანაშიც იმუშავა, სადაც დიდი სიყვარული დაიმსახურა, როგორც უღალატო და დაუზარელმა თანამშრომელმა.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის დროს ცხინვალში ექვსი თვე სამშვიდობო მისიით იყო. ომამდე სოფელში იყო ჩასული. ოთხ აგვისტოს კი ნაწილში წავიდა. მას შემდეგ აღარავის უნახავს.

8 აგვისტოს, დილით, დაურეკა შეყვარებულს, კარგად ვარო, მაგრამ არ გაივლის ორიოდე საათი და კაპრალი იოსებ ბეჟუაშვილი პირველი დაბომბვის დროს სასიკვდილოდ იჭრება ქალაქ ცხინვალში. იმ დაბომბვის დროს ბენზინგასამართი სადგურიც აფეთქდაო, — იხსენებს ზოგი. დანამდვილებით კი არავინ იცის, უკანასკნელად როგორ ვითარებაში დახუჭა თვალები გმირმა...

იქნებ, სამშობლოს ზეცას უმზერდა და თავის დიდ სიყვარულზე ფიქრობდა კვლავ იმედითა და უფლის რწმენით...

საავადმყოფოებში დაჭრილთა შორის დაეძებდნენ გამწარებული მშობლები სიყრმის შვილს. არ იცოდნენ, რომ მათი ვაჟკაცი უკვე ზვარაკად იწვა სამშობლოს საკურთხეველთან... არც ძმამ იცოდა ძმის დაღუპვის ამბავი...

აღაიანმა კი უკვე იცოდა და დუმდა სოფელი...

ომიდან დაბრუნებულ ძმას უთხრა სიმართლე თავისმა მეთაურმა... გიორგი იქცა სოსოს სიკვდილის მაცნედ დაზაფრულ მშობლებთან... მხოლოდ დნმ-ის ანალიზის პასუხის შემდეგ ამოიცნეს ცხედარი და გადაასვენეს მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოდან ნეშტი მშობლიურ სოფელში.

სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი და მედალი „სამშობლოსთვის თავდადებული“ მიენიჭა. მის მშობლებს, ახლობლებს კი იმედს ისევ უდროოდ წასული ვაჟკაცის სიტყვები აძლებინებთ, მისი საკონტროლო ნაწერიდან რომ იკითხება:

„— ქართველს რომ მომავლის იმედი არ ჰქონოდა, აქამდე ვერ მოვიდოდა... საქართველო მრავალგზის აყვავდა და მრავალჯერ დაინგრა. დღესაც დანგრეულიდან იწყებს შენებას საქართველო, ანუ შეუდგა აღმასვლას. იმედი მაქვს, საქართველო სულ მალე იქნება მსოფლიოს თვალი თავისი კულტურით, სილამაზითა და სიძლიერით... სამშობლოს ტკივილი თითოეული ჩვენგანის ტკივილი უნდა იყოს. მისი სიხარული — ჩვენი სიხარული...“

სიყვარულითა და მომავლის რწმენით აღსავსე გულით დატოვა გმირმა წუთისოფელი და სამარადისოდ გადასახლდა ზეციურ საუფლოში.

მოამზადა ლია ჭიღლაძემ

როგორ იპოვეს 5 უგზო-უკვლოდ დაკარგულნი

აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ძებნა გრძელდება. რადიო თავისუფლება ბოლოს ნაპოვნი ადამიანების ახლობლებს ესაუბრა.

„მხოლოდ ბოლო სამი წელი აღარ ვფიქრობდი, რომ ცოცხალია“, — ყვება ნინელი ანდრიაძე. მისი 29 წლის წინ დაკარგული შვილისა და კიდევ ოთხი ადამიანის ნეშტი რამდენიმე დღის წინ ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოასვენეს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულებს აფხაზეთში „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი“ ეძებს. წინა კვირას გადმოსვენებული ხუთი ადამიანიდან ორი სამხედრო იყო, ხოლო სამი - მშვიდობიანი მოქალაქე.

„გული რომ მეტყოდა მკვდარიაო, ტვინით მაშინვე ვეწინააღმდეგებოდი“, — ყვება ნინელი ანდრიაძე. 24 წლის კოტე ანდრიაძე გაგრაში, აფხაზეთის ომის დროს,1992 წელს, დაიღუპა. წითელი ჯვრის კომიტეტმა მისი საფლავი მხოლოდ ახლა, თითქმის 30 წლის შემდეგ, იპოვა.

„ეროვნულ მოძრაობაში იყო ჩემი შვილი, შევარდნაძის დროს უკვე დეპუტატობის კანდიდატი გახდა. რომ მიდიოდა აფხაზეთში, ოთხშაბათს ჩამოვალო, არ ჩამოვიდა და ეს იყო მისი პირველი გატეხილი სიტყვა. მერე დარეკა, საქმეზე გავდივართ, მამას ბოდიში მოუხადე, დაბადების დღე რომ ვერ მივულოცე, რამდენიმე დღეში ჩამოვალო. არ უთქვამს, რომ გაგრაში წავიდნენ. უყოყმანოდ წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ფეხი დაშავებია კამანის ბრძოლაში. არც ეს ვიცოდი.

გაგრაში სასტუმრო „გრეიბეშოკთან“ გაიმართა სასტიკი ბრძოლა. მერე იქ იპოვეს მისი საფლავი. არ ვიცი ამის შემდეგ კიდევ როგორ უნდა

ირაკლი ღარიბაშვილი:
ისტორიული სამართლიანობა აღდგება და საქართველო აუცილებლად გაერთიანდება

„29 წლის წინ, დღევანდელ დღეს, დაიწყო საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მოვლენა — აფხაზეთის ომი. მოძმე ხალხთა შორის კონფლიქტმა მრავალი ადამიანის — ჯარისკაცთა თუ მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლე შეიწირა.

ფრონტის ხაზის ორივე მხარეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იდგნენ. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ თითოეული გარდაცვლილის ოჯახს. ისტორიული სამართლიანობა აღდგება და საქართველო აუცილებლად გაერთიანდება.

მშვიდობისა და განვითარების გზით ჩვენ აფხაზ და ოს ძმებთან ერთად შევქმნით ძლიერ, განვითარებულ სახელმწიფოს, რომელიც მიმზიდველი იქნება მისი თითოეული მოქალაქისთვის, სადაც ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების პირობებში ყველას ექნება თვითმყოფადობის შენარჩუნების, კეთილდღეობისა და განვითარების შესაძლებლობა“, — წერს ღარიბაშვილი.

ყოველ ჯერზე, როცა თბილისში ან უცხოეთში აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევებზე მიუთითებდნენ, სოხუმი აღშფოთებას გამოხატავდა და ცდილობდა, ემტკიცებინა, რომ ეს ყველაფერი „სიცრუე და არაკეთილმოსურნეთა პროვოკაციაა“. იქ წლიდან წლამდე ირწმუნებოდნენ, რომ „აფხაზეთი — ეს დემოკრატიული სახელმწიფოა, მის ყველა მცხოვრებს, განურჩევლად ეროვნებისა, თანაბარი შესაძლებლობები, ტოლი უფლებები გააჩნია და გალის რაიონში მცხოვრები ქართველები რესპუბლიკის თანასწორუფლებიანი მოქალაქეები არიან“. მაგრამ ბოლო დროს ამ მტკიცებების სიყალბე თავად აფხაზეთშიც აღიარეს. რამდენიმე დღის წინ პრობლემას გალის დე ფაქტო რაიონული კრების დეპუტატმა ოლგა ბელოუსოვამაც გაუსვა ხაზი, რომელიც გეგმავს, აფხაზური „პარლამენტის“ სპიკერ ვალერი ქვარჩიას რაიონის მცხოვრებთა დოკუმენტირების საკითხზე მიმართოს.

რაიონული „ადმინისტრაციის“ თათბირზე, რომელსაც „პრეზიდენტ“ ბჟანიას ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალხას კვიცინია უძღვებოდა, ბელოუსოვამ განაცხადა, რომ „გალის რაიონის მოსახლეობა თავისი პრობლემით უკვე ყველა კარზე აკაკუნებს“.

„გაგვიუქმეთ რა 2016 წელს პასპორტები, არა მხოლოდ მოქალაქეობა ჩამოგვართვით, არამედ მომავალი წაართვით ჩვენს შვილებს. ჩვენი სკოლების ბრწყინვალე კურსდამთავრებულები ვეღარ ხედავენ პერსპექტივას, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიდიან სწავლის გასაგრძელებლად, იქ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხდებიან და უკან — აფხაზეთში აღარ ბრუნდებიან. როდესაც თავის დროზე ვლადისლავ არძინბამ (აფხაზეთის პირველი დე ფაქტო პრეზიდენტი — რედ.) სამურზაყანოელებს დაბრუნებისკენ მოგვიწოდა, ის ჩვენში მტრებს ვერ ხედავდა. თქვენ რატომ ქმნით გალში რეზერვაციას? რა მიზეზით ირღვევა ადამიანთა უფლებები? ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით ძირძველი მოსახლეობა. მაშინაც, როცა პასპორტები გვქონდა და აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებად ვითვლებოდით, არაფერს ვუშავებდით სახელმწიფოს“, — განაცხადა ბელოუსოვამ. მისივე თქმით, ბოლო წლებში დაბადებულ ბავშვებს დაბადების მოწმობებიც კი არ გააჩნიათ, რადგან ბევრი მშობელი თავს იკავებს “ბინადრობის მოწმობის“ აღებისგან, რომ “მეორე სორტის მოქალაქედ“ არ იქცეს“. **„ბინადრობის მოწმობა ადგილობრივ მოსახლეობას უფლებებში ზღუდავს, შექმნილი ვითარების გამო ხალხი სახლებს ტოვებს, რადგან სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავს. გვსურს, ჩვენში ადამიანები დაინახოთ. აქ წინაპრები გვყავს დაკრძალული, აქაა მათი სახლ-კარი, ჩვენ ვშრომობთ სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, კეთილსინდისიერად ვიხდით გადასახადებს და ბავშვებს ვზრდით**

ქართველთა უფლებების გამანადგურებელი „სახელმწიფოებანას“ თამაში აფხაზეთში!

გალის რეზერვაცია, საუკუნე XXI, წელი 21-ე

სამშობლოსადმი სიყვარულით, რომელიც მე-11 კლასის შემდეგ მათზე უარს იტყვის. როგორ უნდა ავუხსნათ აფხაზეთში დაბადებულ ბავშვებს, რომ მოქალაქეები არ არიან?!“ — ჩაიკითხა ბელოუსოვამ ფრაგმენტები „პარლამენტის“ სპიკერისადმი მისი მიმართვიდან. **მან იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ ახლა — პანდემიის გამწვავების პერიოდში გალის „ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოს“ პერსონალი დაუღალავად ეხმარება ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და არავის ყოფს „მათიანსა“ და „სხვისიანზე“. „პოლიტიკა, რომელიც გალის რაიონის მკვიდრთა მიმართ ტარდება, არაჰუმანურია, ხალხის გაერთიანების სანაცვლოდ ადამიანების ეროვნული ნიშნით „ჩემიანსა“ და „სხვისიანზე“ დაყოფა კი — არაკონსტრუქციული“,** — დასძინა ბელოუსოვამ.

თავის მხრივ, ალხას კვიცინიამ აღნიშნა, რომ „თავის დროზე მიღებულ იქნა გაუაზრებელ დოკუმენტი“ (აფხაზური „პარლამენტის“ 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება „გალის, ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონების მოსახლეობის პასპორტიზაციის პროცესის მოწესრიგების შესახებ“ 2013 წლის 18 სექტემბრის № 3390 დადგენილების აღსრულების წესის თაობაზე“ — რედ.)“. **„თუ საუბარია ადამიანებზე, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ, მაგრამ აფხაზი ხალხის წინააღმდეგ იბრძოდნენ, ეს საკითხის ერთი მხარეა. მაგრამ არსებობენ მშვიდობიანი მოქალაქეებიც, რომლებიც ეხმარებოდნენ აფხაზეთსა და აფხაზებს. ჩვენ არ ვაძლევთ ადგილობრივებს პასპორტებს, არ ვუგრძელებთ ფორმა №9-ს. გალის რაიონის მოსახლეობის დოკუმენტირების საკითხი საზოგადოებაში უთანხმოებასა და ბევრ დავას იწვევს. უკვე საკმარისად დიდი ხანია, ვმსჯელობთ ამ თემაზე და აუცილებელია, მოვიპოვოთ საზოგადოების მხარდაჭერა, გამოვიმუშავოთ ერთიანი მიდგომა, რათა საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას“,** — აღნიშნა დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა.

იხ. 8 გვ.

აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებიდან 29 წელი გავიდა

29 წლის წინ, 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო, რომელიც ომში გადაიზარდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიას, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის დასაცავად შევიდა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ვლადისლავ არძინბას განკარგულებით შექმნილმა ე.წ. „აფხაზურმა გვარდიამ“, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეისთან ცეცხლი გაუხსნა.

აფხაზეთში ეროვნული გვარდიის შეყვანა ვლადისლავ არძინბასთან 11 აგვისტოს მიღებული შეთანხმებით გადაწყდა, თუმცა ე.წ. „აფხაზურმა გვარდიამ“ საქართველოს ეროვნულ გვარდიას აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილებისას წინააღმდეგობა ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებსა და ქალაქ სოხუმში გაუწია, რასაც აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა. საომარ მოქმედებებში ავიაცია, არტილერია და ტანკები ჩაერთო. აფხაზური მხარის გაღიზიანება, რკინიგზის დაცვის მიზნით, რეგიონში საქართველოს მილიციის შეყვანამ განაპირობა.

აფხაზეთის ომი 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა. 1992 წლის 3 სექტემბერს, მოსკოვში ედუარდ შევარდნაძე და ბორის ელცინი შეხვდნენ ერთმანეთს. ხელი მოეწერა დოკუმენტს ცეცხლის შეწყვეტის, აფხაზეთიდან ქართული სამხედრო ტექნიკის გაყვანისა და დევნილების დაბრუნების შესახებ. დოკუმენტის პირობები არ შესრულებულა და აფხაზეთში საომარი შეტაკებები ისევ გაგრძელდა. 1993 წლის დასაწყისისათვის ე.წ. აფხაზურმა ძალებმა ე.წ. საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტითა და საქართველოს მიერ ჯარის გაყვანის ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებით ისარგებლეს, და მოულოდნელი შეტევით სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი გაგრა აიღეს.

იმავე წელს, კვლავ ომის შეწყვეტის ხელშეკრულება დაარღვიეს და 16 სექტემბერს მათ მიერვე დაწყებულ შეტევას 27 სექტემბრისთვის უკვე აფხაზეთზე მათი სრული კონტროლის დამყარება მოყვა. 1993 წლის 27 სექტემბერს კი სოხუმს მთლიანად აფხაზური მხარე აკონტროლებდა. ქართული სამხედრო ძალები იძულებულნი გახდნენ, აფხაზეთი დაეტოვებინათ. 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე კიდევ ერთი ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ძალები განლაგდნენ.

დაუზუსტებელი მონაცემებით, აფხაზეთის ომის დროს 16 ათასი ადამიანი დაიღუპა, 10 000 ქართველი და 4 000 აფხაზი. ომამდე რეგიონში 537 000 მოქალაქე ცხოვრობდა, დღეს აფხაზეთიდან 300 ათასამდე ათასი დევნილია. აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე სტატისტიკური მონაცემებით სულ დაღუპულია 3 368 მშვიდობიანი მოქალაქე. მათ შორის ეთნიკურად არაქართველი 218 ადამიანია: 99 რუსი, 35 სომეხი, 23 უკრაინელი, 22 ბერძენი, 18 ებრაელი, 15 აფხაზი, 4 აზერბაიჯანელი, 1 ესტონელი და 1 მოლდოველი ეროვნების მშვიდობიანი მოქალაქე. დანარჩენი 0 3 150 ეთნიკურად ქართველია.

თქვა, რუსეთთან გვინდაო. მათ მხოლოდ იმპერიალისტური ზრახვები აქვთ, არავითარი ერთმორწმუნეობა მაგათ არ აჩერებთ. აგერ, ძმათა სასაფლაოზეა მათი მსხვერპლი ამდენი ბიჭი დასაფლავებული და ჩემს შვილსაც დავკრძალავთ აგვისტოში“.

1992 წლის შემდეგ ნინელი ანდრიაძე და კიდევ 14 ადამიანი (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ახლობლები) მთელ საქართველოში დადიოდნენ და უცხო საფლავებს ეძებდნენ. 14 ივლისს კოტე ანდრიაძეს დაბადების დღე ჰქონდა, 16-ში კი ნათელი გახდა, რომ „წითელმა ჯვარმა“, ბოლოს და ბოლოს, მის საფლავს, მიაგნო. **„მოვიდნენ და მითხრეს, რომ კოტიკოს საფლავი ამოიცნეს, დნმ დაემთხვა. ხომ გინახავთ, როგორ ქვავდება ადამიანი. ეს გაქვავება გადავიტანე 16 ივლისს“.**

მალე კოტე ანდრიაძეს დიღმის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალავენ.

„იქ გაგრის კვადრატი ცალკე გააკეთა კოტეს მამამ, კვიპაროსები დარგო, რომლებიც უკვე გაიზარდნენ. აი, იქ დავასაფლავებთ“.

2021 წელს „წითელ ჯვრის“ ექსპერტებს 30-ზე მეტი სავარაუდო სამარხის გახსნა ჰქონდათ დაგეგმილი. მიუხედავად კოვიდპანდემიისა, ეს პროცესი წლის ბოლომდე გაგრძელდება. სამარხების მოძიება იწყება ინფორმაციის შეგროვებით. შემდეგ ექსპერტები იღებენ ახლობლების დნმ-ს, ხოლო უშუალოდ სამარხის გახსნისას ნეშტებისგან დნმ-ის პროფილები მზადდება. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები ერთმანეთს დაემთხვა, გარდაცვლილი ამოცნობილია.

დაკარგული და ნაპოვნი ორი შვილი

უცნობი საფლავების ძებნაში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ახლობლები რამდენჯერმე აფხაზებსაც შეხვდნენ. ნინელი ანდრიაძე განსაკუთრებით ერთ ამბავს იხსენებს. ჯგუფს 14 და 15 წლის ქართველი გოგონები დაუკავშირდნენ, 10 წლის წინ დაკარგული აფხაზი დედის საფლავს ეძებდნენ.

„ბავშვებს მამა ქართველი, დედა აფხაზი ჰყავდათ. ომის დროს მამამ ბავშვები აფხაზეთიდან იმერეთში წამოიყვანა და დას დაუტოვა გასაზრდელად, თვითონ კი რუსეთში წავიდა. ბავშვებმა იცოდნენ, რომ დედა დაღუპული იყო. აფხაზურ მხარეს ვთხოვე, ასეთი ამბავია, ბავშვებს უნდათ დედის საფლავი მოძებნონ-მეთქი, დავუტოვე სახელი და გვარი. ორ კვირაში დამიკავშირდნენ და მკითხეს, როდის ჩამოუყვან მარინეს (სახელი შეცვლილია) ბავშვებს სანახავად. აღმოჩნდა, რომ ქალი ცოცხალი იყო. მასაც ეუბნებოდნენ, რომ მისი ქმარ-შვილი ომის დროს დაიღუპა. 2006 წელს, 18 სექტემბერს, ენგურის ხიდზე შევახვედრე ერთმანეთს. მთელი ცხოვრება რომ სხვა არაფერი მეკეთებინა, ესეც კმარა ჩემთვის, რომ დედას შვილები დავუბრუნე“, — ყვება ნინელი ანდრიაძე.

დახვრეტილი მშობლები

აფხაზეთიდან გადმოსვენებულ პირთა შორის არის აფხაზეთის მკვიდრი ცოლ-ქმარიც. რადიო თავისუფლება მათ ვაჟს ესაუბრა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

„მე მაშინ სახლში არ ვიყავი. ეტყობა, რომ ვიბრძოდი, იმის გამო დახოცეს ჩემი მშობლები. სიით მისულან და სახელი და გვარი უკითხავთ. მაშინ მამა 72 წლის იყო, დედა — 64 წლის. მონაყოლით ვიცი, რომ რამდენიმე დღე მეზობლებს ცხედრების დამარხვის საშუალებას არ აძლევდნენ. მერე ნაცნობი აფხაზი ჩაერია და მისცეს უფლება იქვე, ეზოში დაეკრძალათ. ეს მოურჩენელი ტკივილია, მშობლები რომ ასე მოგიკვდება, ვერც მოეფერები, ვერც გამოემშვიდობები... სანამ ცოცხალი ვარ, არ ვაპატიებ“.

დღევანდელი მონაცემებით, დარჩენილია 2 300-ზე მეტი ოჯახი, რომლებმაც ამ დრომდე არაფერი იციან თავიანთი ახლობლების ხვედრის შესახებ. „წითელი ჯვრის“ ეგიდით 2010 წლიდან დღემდე ნაპოვნია 583 ნეშტი. მათგან იდენტიფიცირებულია და ოჯახებს გადაეცა 206.

თეა თოფურია,
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

ვაქცინირებულ ისრაელსა და ბრიტანეთში სიკვდილიანობის კოეფიციენტი 0%-ს უახლოვდება - საქართველოში 1,26% პროცენტს!

კოვიდვაქცინის **უმთავრესი მიზანი რომ ფატალური შემთხვევის დადგომის თავიდან აცილებაა, ამის შესახებ მსოფლიოს წამყვანი ინფექციონისტები თვეებია საუბრობენ. როგორც გამოცდილებამ აჩვენა, იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის 60%-ზე მეტი აიცრა, ინფიცირების დონე მეტ-ნაკლებად, მაგრამ სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ისრაელია. აგვისტოს პირველ 10 დღეში ისრაელში 37 ათასი ადამიანი დაინფიცირდა და 98 გარდაიცვალა, საქართველოში კი 36 ათასი დაინფიცირდა, მაგრამ 3.7-ჯერ მეტი — 362 გარდაიცვალა. ამასთან, თუ მასობრივი ვაქცინაციის შემდეგ ისრაელში სიკვდილიანობის კოეფიციენტი 3.4-ჯერ შემცირდა, საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა.**

ორი პატარა ქვეყანა, განვითარებადი ეკონომიკის მქონე საქართველო და განვითარებული ისრაელი ერთმანეთისთვის ხშირად შეუდარებიათ. პარალელი დღესაც კეთდება, ამჯერად საკვლევ ობიექტს კოვიდი წარმოადგენს. პანდემიის საწყის ეტაპზე, ეკონომიკის კოლაფსის პირას მიმყვანი შეზღუდვების ფასად, კოვიდის შეკავებაში საქართველომ ბევრ განვითარებულ ქვეყანას, მათ შორის ისრაელსაც აჯობა. 2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოში ინფიცირების 1500-მდე და გარდაცვალების 19 შემთხვევა დასტურდებოდა, ისრაელში ეს რიცხვები შესაბამისად 116 000-სა და 939-ს შეადგენდა. შემოდგომიდან ყველაფერი საქართველოსთვის უარესობისკენ შეიცვალა. სტატისტიკური მონაცემებმა ზრდა იმავე პერიოდში ისრაელშიც განაგრძო, მაგრამ ისრაელმა დეკემბრიდან ვაქცინაცია დაიწყო და უკვე მარტში მოსახლეობის ნახევარზე მეტი სრულად იყო აცრილი, დღეს ასეთი 62%-ზე მეტია, 1 დოზით აცრილი 67%-ზე მეტი. დამატებითი დაცვისთვის ქვეყანამ 65 წელს გადაცილებული პირების მესამე დოზით აცრაც დაიწყო. ისრაელისგან განსხვავებით საქართველოში ვაქცინაციის პროგრამა მხოლოდ მარტიდან დაიწყო და 11 აგვისტოს მდგომარეობით სრულად აცრილ პირთა წილი მხოლოდ მოსახლეობის 5.7%-ს შეადგენს. სიკვდილიანობის მაჩვენებლებს შორის სხვაობა მხოლოდ აგვისტოში არ დადასტურებულა. ივლისში ისრაელში ინფიცირდა 32 ათასი და გარდაიცვალა 45 ადამიანი, საქართველოში კი დაინფიცირდა 54 ათასი და გარდაიცვალა 504 ადამიანი. როგორც ინფიცირების, ასევე გარდაცვალების შემთხვევები საქართველოშიც და ისრაელში გაზრდილია, მაგრამ სიკვდილიანობის წილი ინფიცირებულებში საქართველოში ბევრად მაღალია.

კიდევ უფრო გრძელვადიან პერიოდს თუ განვიხილავთ, 2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით ისრაელში სიკვდილიანობის კოეფიციენტი 0.75%-ს შეადგენდა (6209 გარდაცვლილი 833 ათასი ინფიცირებულიდან) 1-ლი აპრილიდან დღემდე, ისრაელში 77 ათასი ადამიანი დაინფიცირდა და 362 გარდაიცვალა, სიკვდილიანობის კოეფიციენტი შესაბამისად 0.47%-მდე შემცირდა. 1-ლი ივნისიდან დღემდე კი 0.22%-მდე — 159 გარდაცვლილი 72 ათასი ინფიცირებულიდან.

31 მარტის მდგომარეობით საქართველო კორონავირუსით 3778 გარდაცვლილს ითვლიდა, ინფიცირებულთა რაოდენობა კი 282 ათასს უდრიდა. ანუ სიკვდილიანობის კოეფიციენტი 1.34%-ს შეადგენდა. 1-ლი აპრილიდან დღემდე დაინფიცირდა 174 ათასი და გარდაიცვალა 2404 ადამიანი. სიკვდილიანობის კოეფიციენტი 1.38%-მდე გაიზარდა. 1-ლი ივნისიდან დღემდე კი ინფიცირდა 112 ათასი და გარდაიცვალა 1409 ადამიანი, სიკვდილიანობის კოეფიციენტმა ამჯერად 1.26% შეადგინა. მეტი თვალსაჩინოებისთვის, 2021 წლის აპრილამდე ისრაელში ყოველი 133 ადამიანიდან 1 კოვიდით იღუპებოდა, 1-ლი აპრილიდან დღემდე ყოველი 213-დან 1 და 1-ლი ივნისიდან დღემდე ყოველი 455-დან 1. საქართველოში კი 1-ელ აპრილამდე კოვიდს ყოველი 75-დან 1 ადამიანი ეწირებოდა, 1-ლი აპრილიდან დღემდე ყოველი 72-დან 1, ხოლო 1-ლი ივნისიდან დღემდე კი ყოველი 79-დან 1.

თუ მასობრივ ვაქცინაციამდე ყოველი 100 000 ინფიცირებულიდან ისრაელში პოტენციურად 750 ადამიანი დაიღუპებოდა, ახლა ეს რიცხვი 220-მდეა შემცირებული, საქართველოში კი 1340-დან 1260-მდე, რაც შეიძლება უფრო ტესტირების რაოდენობის ზრდით აიხსნას ვიდრე ვაქცინის



შედეგით, რადგან 5.7% ძალიან ცოტაა ამ მცირე რაოდენობის აცრის დიდი ნაწილიც ბოლო კვირებშია ჩატარებული. თუ ადრე დღიური ტესტების რაოდენობა 30 ათასის ფარგლებში მერყეობდა, ახლა 40 ათასს აჭარბებს.

ისრაელი ერთადერთი გამონაკლისი არაა. ბრიტანეთში 31 მარტის მდგომარეობით სიკვდილიანობის კოეფიციენტი 2.93%-ს შეადგენდა (126 749 გარდაცვლილი 4.328 მლნ ინფიცირებულიდან). 1-ლი აპრილიდან დღემდე კიდევ 1,7 მლნ ადამიანი დაინფიცირდა და 3754 გარდაიცვალა. ვაქცინაციის შედეგად, სიკვდილობის კოეფიციენტი ბრიტანეთში მკვეთრად შემცირდა — 2.93%-დან 0.21%-მდე. იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობის 60% 1-ელ დეკემბრამდე სრულად იყოს ვაქცინირებული, **ყოველდღიურად 33 ათასი აცრის ჩატარებაა საჭირო,** 70%-იანი მაჩვენებლის მიღწევისთვის — 40 ათასი.

გიორგი ელიზბარაშვილი

შეძლებს თუ არა მსოფლიო ოდესმე COVID-19-ის სრულად ამოძირკვას?!

მეცნიერები შანსებს აფასებენ

პანდემია ბობოქრობს და იდეა, **რომ მსოფლიო სრულად შეძლებს კორონავირუს SARS-CV-2-ის შეჩერებას და პანდემიამდელ ცხოვრებაში დაბრუნებას, სულ უფრო მიუწვდომელ ოცნებად გვესახება.**

მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს ვაქცინების უთანასწორო გადანაწილება და სახიფათო ახალი შტამები, მოსაზრება, რომ ერთ დღესაც COVID-19-ზე გავიმარჯვებთ, ხანდახან თითქოს სულელური ჩანს. თუმცა, ახალზელანდიელ მეცნიერთა მიერ ჩატარებული ახალი ანალიზების მიხედვით, იმედი ჯერ კიდევ არსებობს. აქამდე ჩატარებული კვლევების მეტაანალიზის, ასევე ყვავილთან და პილიოსთან მათი შედარების შემდეგ, მკვლევართა ჯგუფი ვარაუდობს, რომ ახალი კორონავირუსის ამოძირკვა ჯერ კიდევ შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სულაც არ იყოს ადვილი.

„არის თუ არა COVID-19 პოტენციურად ამოძირკვადი? თუ ის გარდაუვლად ენდემურია და მსოფლიოში თავს დაიმკვიდრებს?“. „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ანალიზი პირველად ძალისხმევას წარმოადგენს და სხვადასხვა სუბიექტურ კომპონენტს მოიცავს, COVID-19-ს ამოძირკვადის კატეგორიაში ათავსებს, განსაკუთრებით ტექნიკურად განხორციელებადობის თვალსაზრისით“, — წერია კვლევაში. მსოფლიო მასშტაბზე SARS-CV-2 ისე გამოიყურება, რომ ის არსად წავა, მაგრამ მცირე მასშტაბზე, ზოგიერთ ადგილას ვირუსის მოსპობა შეძლეს, ვაქცინაციის გარეშეც კი.

ზოგიერთმა დიდმა ქვეყანამ, მაგალითად ჩინეთმა და უფრო პატარა ქვეყნებმა, მათ შორის ისლანდიამ და ახალმა ზელანდიამ ვაქცინების გამოსვლამდე შეძლეს ვირუსის დროებით ამოძირკვა; ამისათვის იყენებდნენ სასაზღვრო კონტროლს, ნიღბების ტარებას, ფიზიკურ დისტანციას, ტესტირებას და კონტაქტების მოძიებას.

გარდა ამისა, კაცობრიობამ შეძლო მთლიანად ამოეძირკვა სულ მცირე ერთი დაავადება მაინც — ყვავილი. ადამიანებში ყვავილი 3000 წლის განმავლობაში მძვინვარებდა. მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მასობრივი ვაქცინაციის წყალობით, ეს ვირუსი გაქრა და 1980 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის სრულად ამოძირკვულად გამოაცხადა. ვაქცინების წარმატების კიდევ ერთი ამბავია პოლიომიელიტი, რომელიც უკვე თითქმის მთლიანად მოვსპეთ. პოლიოვირუსის სამი სეროტიპიდან ორი გლობალურად ამოძირკვულია; 1988-2018 წლებში პოლიოვირუსის შემთხვევათა რაოდენობა 99 პროცენტით შემცირდა.

შესაბამისად, საინტერესოა, შეგვიძლია თუ არა, რომ იგივე მოვუხერხოთ COVID-19-საც? კვლევის ფარგლებში, ელიმინაციის 17 ცვლადისთვის ჯგუფმა შექმნა სამპუნქტიანი შეფასების სისტემა.

იხ. 11 გვ.

(მომდევნო გვერდიდან)

ქართველთა უფლებების გამანადგურებელი „სახელმწიფოებანას“ თამაში აფხაზეთში!

შემდეგ ჯერზე გალის რაიონმა „პარლამენტის“ ყურადღება მხოლოდ გასული წლის დეკემბერში დაიმსახურა, თუმცა ამჯერადაც — მხოლოდ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად დაემძიმებინა ადგილობრივთა ისედაც გაუსაძლისი ყოფა. „პარლამენტის“ საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელმა ნატალი სმირმა საკომიტეტო მოსმენაზე პირდაპირ გააფრთხილა რაიონული დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კონსტანტინე ფილია, რომ გალს საბიუჯეტო დოტაცია გაუნახევრდებოდა — აქაოდა, “მოქალაქეობის არმქონენი ბიუჯეტიდან ხელფასს არ უნდა იღებდნენო“. „აფხაზეთის მოქალაქეთა რა რაოდენობა ცხოვრობს გალში? ვის ვუხდით, უკაცრავად, ფულს?! იქ ხომ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეთა უმრავლესობას საქართველოს მოქალაქეობა გააჩნია, აფხაზეთის მოქალაქე კი მაქსიმუმ, ერთი ათასია“, — განაცხადა სმირმა.

თავის მხრივ, დე ფაქტო რაიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფილიამ მაშინ ვითარებას კატასტროფული უწოდა და აღნიშნა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ელემენტარული უფლებების გარეშეა დარჩენილი. „ჩვენს ადმინისტრაციას მატერიალური დახმარებისთვის აკითხავენ ადამიანები, რომლებიც რეალურად საჭიროებენ დახმარებას, მაგრამ როგორ დავეხმაროთ — არ ვიცით, რადგან გაუგებარია, როგორ გავაფორმოთ დახმარება — მათ ხომ არავითარი საბუთი არ გააჩნიათ! პირადად ჩემთან მოდიან ადამიანები, რომლებმაც დაამთავრეს სკოლა, მოიხადეს ჯარი ჩვენს — აფხაზურ არმიაში, ვხედავ მათ მიერ მიღებულ ჯილდოებსაც საუკეთესო მსახურისთვის... მთხოვენ: „მოგვეცით რაიმე საბუთი მაინცო!“, მე კი ამის უფლება არ მაქვს. ეს კატასტროფა არ არის?! პარლამენტი პასპორტებში კი არ უნდა იქექებოდეს და კიდევ უფრო უმძიმებდეს ადამიანებს ისედაც ურთულეს მდგომარეობას, არამედ ყველაფერს აკეთებდეს მათთვის ოდესღაც წართმეული უფლებების დასაბრუნებლად. რაც შეეხება ხსენებულ ათას ადამიანს — პასპორტების მფლობელებს, დანარჩენები რა, ჩვენები არ არიან?! დიახ, ჩვენს შორის იყო ომი, დღესაც კი გვძულს ზოგიერთს ნათესავები, რომლებსაც ოდესღაც ვეომეთ, მაგრამ ამაზე ნელ-ნელა უარი უნდა ვთქვათ. 2600 ბავშვი გვყავს, მათ შორის 500-ზე მეტი — საბავშვო ბაღის ასაკის, მათ ხომ საერთოდ არ უომიათ და რისთვის ვსჯით ამ ადამიანებს?! პასპორტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, გალის რაიონს ბიუჯეტი საერთოდ არ სჭირდება?!“, — განაცხადა კონსტანტინე ფილიამ და წინა დე ფაქტო ხელისუფლება, ანუ ამჟამინდელი ოპოზიცია ადამიანის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა.

გალის დე ფაქტო რაიონული კრების „დეპუტატ“ ოლგა ბელოუსოვას მიმართვის შემდეგ აფხაზურ „პარლამენტს“ ეძლევა შესაძლებლობა, ეს სამარცხვინო მდგომარეობა ახლა მაინც გამოასწოროს. დემოკრატიის პრინციპების საფუძვლებისა და თავად „დემოკრატიული სახელმწიფოს“ ცნების დეკლარირება ხომ ერთია, მათი დაცვა კი — სულ სხვა რამ და ჯერჯერობით ცივილიზებული სამყარო აფხაზეთში მხოლოდ ადამიანის უფლებების გამანადგურებელ „სახელმწიფობანას“ თამაშს ადევნებს თვალს.

ეკატერინე ცანავა

მასალა მომზადებულია საინფორმაციო სააგენტო „აქცენტისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია GRASS-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც ღია საინფორმაციო პარტნიორობის (OIP) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება

ᲕᲝᲚᲤ ᲛᲔᲡᲘᲜᲒᲘ: „ᲠᲝᲪᲐ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲐᲖᲠᲔᲑᲡ ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑ...“

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ სამსახურის გავლის შემდეგ კვლავ ფსიქოლოგიურ ცდებს დავუბრუნდი, ოღონდ უკვე ახალ იმპრესარიოსთან, ახალი ყაიდის საქმის კაცთან, 50 წლის ბატონ კობაკთან ერთად. ჩვენ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა მოვიარეთ, რა დროსაც, ცხადია, შესაძლებლობებისამებრ, გამოსვლების პროგრამის გაფართოებას ვცდილობდი. მაგალითად, მახსოვს, რომ **რიგის ქუჩებში მანქანას შავი პირსახოცით ახვეული თვალებით ვატარებდი, ხოლო მარშრუტს — გუნებაში! — უკანა დასაჯდომზე მყოფი ნამდვილი მძღოლი მკარნახობდა. ეს სარეკლამო ხასიათის ტრიუკი იმით იყო საინტერესო, რომ მართვის მეორე სისტემა მანქანას არ ჰქონდა. არც მანამდე, არც მას შემდეგ, მე საჭესთანაც ტყუილადაც არ ვმჯდარვარ!**

იმ წლებში დედამიწის ყველა კონტინენტი შემოვიარე, თითქმის ყველა ქვეყანაში აუარება გამოჩენილ პიროვნებას, ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს შევხვდი, რომელთაგან აუცილებლად მინდა აღვნიშნო 1927 წელს ინდოეთის დიდ პოლიტიკურ მოღვაწესთან მოჰანდას **კარამჩანდ** განდისთან შეხვედრა, რომელმაც ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. სამუდამოდ დამამახსოვრდა მისი მოაზროვნის სახე, ჩუმი ხმა, მოძრაობათა სიდინჯე და ნარნარი, გარშემო მყოფებისადმი უაღრესად რბილი დამოკიდებულება. იგი ასკეტურად იცვამდა და უბრალო საჭმლით იკვებებოდა.

ცდების დროს მაჰათმა განდი ჩემი ინდუქტორი იყო, რომელმაც ასეთი დავალება მომცა: მაგიდიდან დუდუკი უნდა ამეღო და მესამე პირისთვის მიმეწოდებინა. ეს რომ გავაკეთე, იმ კაცმა დაკვრა დაიწყო და პირველსავე ბგერებზე ბოთლისფორმიანი კალათიდან რუხ-ჭრელმა გველმა ამოყო თავი და მელოდიის რიტმში რწევა დაიწყო. ეს ჭეშმარიტი როკვა იყო, არანაკლებ მომხიბლავი და მშვენიერი, ვიდრე ადამიანისა.

ინდოეთში ყოფნისას დიდი ინტერესით ვეცნობოდი იოგების ხელოვნებას. განსაკუთრებით მათ მიერ საკუთარი თავის კატალეპტურ მდგომარეობაში შეყვანის პრაქტიკამ მიმიზიდა, თუმცა კი ამ მდგომარეობაში ხანგრძლივი დროით დარჩენის უნარი მაინც ვერ გამოვიმუშავე.

* * *

ჩემთვის არაერთხელ მოუმართავთ სხვადასხვა სახის პირადი პრობლემების გადაჭრის თხოვნით და, საკუთარი ცხოვრებისეული მრწამსის შესაბამისად, მიუხედავად ადამიანის ქონებრივი თუ სოციალური ცენზისა, მუდამ სიმართლის მხარეს ვიდექი და ადამიანებს მხოლოდ სიკეთეს ვუკეთებდი. ხშირად მოპარული ნივთებისა და ძვირფასეულობის პოვნაში მიმიღია მონაწილეობა, უსინდისო თაღლითები და ქურდბაცაცები, სხვა ბოროტმოქმედები მიმხელია, ყოფილა კურიოზული შემთხვევებიც. ისე კი, მინდა ვთქვა, რომ „პიკერტონობა“ თუ „შერლოკ ჰოლმსობა“ სულაც არ ქცეულა ჩემს მეორე პროფესიად: ცხოვრებაში არასდროს მითანამშრომლია არც პოლიციასთან, არც რომელიმე სხვა საგამოძიებო კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურასთან, თუმცა კი მათი წარმომადგენლებისგან ამ ტიპის შეთავაზებები არაერთგზის მიმიღია. იმის მიუხედავად, რომ მუდამ უარზე ვიყავი, იმ ხანებში პოლონეთში ამ სფეროში უსასტიკესი კონკურენცია სუფევდა, სხვადასხვა ჯურის ათასობით თაღლითიც იყო, რომელთაგან არაერთმა ჩემი კომპრომეტირება სცადა, თუმცა მე სულ ვფრთხილობდი და თავს მოდუნების უფლებას არ ვაძლევდი.

* * *

ᲐᲮᲚᲐ კი იმის დრო დადგა, გიამბოთ, თუ როგორ **გავხდი საბჭოთა მოქალაქე. როცა 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიის ჯარმა პოლონეთის სახელმწიფო საზღვარი გადალახა, ეს მტერზე ყველაფრით სუსტი ქვეყანა, რომელსაც თანაც საკუთარმა მთავრობამაც უღალატა, განწირული იყო. მე ვიცოდი, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩემი დარჩენა არაფრით არ შეიძლებოდა — გერმანელებმა ჩემი ადგილსამყოფელის** გამცემს 200 ათასი მარკის გასამრჯელოს ჰპირდებოდნენ. ყოველივე იმის შედეგი იყო, რომ ჯერ კიდევ 1937 წელს, ვარშავის ერთ-ერთ თეატრში გამოსვლისას, ათასობით მაყურებლის თანდასწრებით, მე ვიწინასწარმეტყველე, რომ თუკი აღმოსავლეთისკენ დაიძრებოდა, ჰიტლერი განწირული იყო. მან იცოდა ამ წინასწარმეტყველების შესახებ — **იმავე დღეს ის ყველა პოლონურ გაზეთში პირველ გვერდზე ანშლაგად დაიბეჭდა. თანაც დიქტატორი ამ სახეობის წინასწარმეტყველებებისადმი და, საერთოდაც, სხვადასხვა ტიპის მისტიკისადმი მეტად მგრძნობიარე იყო. ტყუილად როდი ჰყავდა მას საკუთარი „ნათელმხილველი“ — ვინმე ბატონი ჰანუსენი, რომლის შესახებ ბარემ ორიოდე სიტყვასაც ვიტყვი. ჩემთვის ცნობილ ტელეპატებს შორის იგი ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი იყო, ვისაც ნამდვილად შეეძლო აზრების წაკითხვა. მას, უდავოდ, ტელეპატის ნიჭი ჰქონდა, მაგრამ ამ უნარის სრულად გამოსავლენად მაყურებელთა აღფრთოვანება სჭირდება, რაც მასში ძალთა მოზღვავებას იწვევდა. ამიტომაც იყო, რომ ყოველი გამოსვლის დასაწყისში იგი არაპატიოსან ხრიკს მიმართავდა — ორ ნომერს მაყურებლებში ჩასმული თავისი ასისტენტების დახმარებით ატარებდა. მაგრამ, მესამე ნომრიდან მოყოლებული იგი უკვე პატიოსნად, თანაც მეტად არტისტულად მუშაობდა დარბაზში მსხდომ ნებისმიერ კაცთან.**

1933-34 წლებში ჰანუსენი ჰიტლერმა დააახლოვა იმის მიუხედავადაც კი, რომ ის ჭეშმარიტი ებრაელი იყო — პაპამისი სინაგოგის მამასახლისი გახლდათ. ჰიტლერის ახლო გარემოცვაში ყოფნის დროს, ჰანუსენმა იმაზე გაცილებით მეტი იცოდა, რაც წესითა და რიგით უნდა სცოდნოდა. გარკვეული წრეები მას საიმისოდ იყენებდნენ, რომ ჰიტლერისთვის ესა თუ ის რჩევა მიეწოდებინათ „ასტრალური მინიშნებების“ სახით, მაგრამ, როცა დიდ პოლიტიკურ თამაშში იგი მეტად სარისკო ფიგურად იქცა, ჰანუსენი უბრალოდ თავიდან მოიცილეს — მისი ბედი რომანში „ძმები ლაუტენზაკები“ საკმაოდ ზუსტად აღწერა ლიონ ფოიხტვანგერმა.

ასე იყო თუ ისე, ჰიტლერმა, რომელსაც კაცმა არ იცის რა ქვენა გრძნობები ამოძრავებდა — ჩემთვის შურისგების თუ ჰანუსენის შეცვლის სურვილი — ჩემი ადგილსამყოფელის გამცემისთვის დიდძალი ფულადი პრემია დააწესა. იმ ხანებში მე მშობლიურ დაბაში, მამის სახლში ვცხოვრობდი, სადაც მალევე გერმანელები შევიდნენ, მაგრამ მე ვარშავაში გაქცევა მოვახერხე, სადაც ნაცნობი ყასბის სახლის სარდაფში ვიმალებოდი. ერთ საღამოს, როცა ჰაერზე გასასეირნებლად ქუჩაში გავედი, გერმანელებმა გამაჩერეს. საბუთი რომ მივაწოდე, ოფიცერმა დაკვირვებით შემხედა და მითხრა:

— შენ ვოლფ მესინგი ხარ, რომელმაც ფიუერერის სიკვდილი იწინასწარმეტყველე!.. — და უძლიერესი დარტყმით ერთბაშად ექვსი კბილი ჩამილეწა. პოლიციის განყოფილებაში რომ ვიჯექი, ვიფიქრე — აქედან თავს თუ ვერ დავაღწევდი, დაღუპული ვიყავი. ძალები მოვიკრიბე და პოლიციის საუბნო განყოფილებაში იმ დროს ყველა პოლიციელი — უფროს-უმცროსიანად! — ვაიძულე ჩემს საკანში შემოსულიყო, მე კი თავი მოვიმკვდარუნე. ყველანი რომ მოქუჩდნენ, უმალ ფეხზე წამოვხტი და გამოვიქეცი...

ვარშავიდან ურემზე დადებული თივის ზვინით გამომიყვანეს, აღმოსავლეთის მიმართულებით, ანუ იმ ერთადერთი ქვეყნისკენ, სადაც თავშესაფრის პოვნა შემეძლო. გამცილებლებს ღამღამობით მივყავდი. ნოემბრის ერთ ბნელ ღამეს კი მეთევზემ მდინარე დასავლეთ ბუგზე ახალ სამშობლოს მიწაზე გადამიყვანა.

თარგმნა
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №159-160, 161-162

ᲛᲐᲚᲔ ᲛᲝᲒᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐᲗ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ!!!



ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ყოფილმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც ავღანეთში არსებული სიტუაციის გამო სინანული გამოხატა და ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია გააკრიტიკა.

„ტრაგიკული დომხალი ავღანეთში, სრულიად ღია და გარღვეული საზღვრები, დანაშაული რეკორდულ დონეზე, ნავთობის გაზრდილი ფასები, გაზრდილი ინფლაცია და უპირატესობა, რომლითაც მთელი მსოფლიო სარგებლობს — ჯერ კიდევ არ მოგენატრეთ?“ — დაწერა დონალდ ტრამპმა. აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა ჯო ბაიდენი ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების პირობების წაყენების გარეშე გაყვანის გამო მკაცრად გააკრიტიკა. დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში, ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების გაყვანა ბევრად განსხვავებული და ბევრად უფრო წარმატებული იქნებოდა.

ᲠᲣᲡᲘ ᲦᲝᲠᲔᲑᲘ ᲧᲐᲠᲮᲐᲠᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲜᲘ ᲛᲗᲘᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ!

ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ **თავის ტერიტორიაზე შესვლა 50 წლით აუკრძალა აზერბაიჯანელ დიპლომატს, აზერბაიჯანის ყოფილ ელჩს ბელარუსში, მოლდოვასა და პაკისტანში ისფანდიარ ვაჰაბზადეს, რომელმაც, მოსკოვის ცნობით, „ეთნიკური შუღლის გამომწვევი“ განცხადებები გააკეთა.**

რუსეთს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ისფანდიარ ვაჰაბზადეს რუსეთში ყოფნამ „შეიძლება საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას“.

როგორც იუწყებიან, აზერბაიჯანელმა დიპლომატმა ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში, შეურაცხმყოფელად მოიხსენია რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმირ ჟირინოვსკი და მასთან ერთად რუსები.

დიპლომატმა ჟირინოვსკის „მსუქანი ღორი“ და „ბებერი ვირი“ უწოდა. გარდა ამისა, ისფანდიარ ვაჰაბზადემ აღნიშნა, რომ მან „იცის რას აკეთებენ რუსი ღორები“. „ისინი სისულელეებს აკეთებენ, ყარან. თქვენი სუნი უკვე ვრცელდება მთელ მსოფლიოში. სუნთქვა შეუძლებელია“.

დიპლომატის განცხადებას აღშფოთება მოყვა რუსეთის მმართველ პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში. რუსეთის დუმის სპიკერის მოადგილემ, პეტრე ტოლსტოიმ ვაჰაბზადეს ბოდიშის დაუყოვნებლივ მოხდისკენ მოუწოდა. აზერბაიჯანელი დიპლომატის გაცხარება მოჰყვა ჟირინოვსკის მორიგ პროვოკაციულ განცხადებას, როდესაც მან თქვა, რომ რუსეთმა უნდა აღადგინოს თავისი იმპერია საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებში და სამხრეთ კავკასიას მოსკოვის გავლენის ზონა უწოდა.

ისფანდიარ ვაჰაბზადე მანამდეც გამოირჩეოდა რუსეთის მიმართ მკაცრი განცხადებებით. 2019 წელს მან რუსებს „ჰიბრიდული ერი“ უწოდა, რომლებიც „სავარაუდოდ მონღოლებისა და ებრაელების შთამომავლები არიან“. მომხდართან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და მიანიშნა, რომ დიპლომატი ჯერ კიდევ 2016 წელს გაათავისუფლეს „საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზების გამო“.

ᲐᲜᲒᲔᲚᲐ ᲛᲔᲠᲙᲔᲚᲘᲡ ᲞᲔᲜᲡᲘᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ **ფედერალური კანცლერი ანგელა მერკელი თანამდებობის დატოვების შემდეგ მიიღებს ყოველთვიურ პენსიას დაახლოებით 15 ათასი ევროს ოდენობით. ინფორმაცია გერმანიის გადასახადის გადამხდელთა ფედერალურმა გაერთიანებამ გამოაქვეყნა.**

როგორც ორგანიზაცია განმარტავს, ამ ოდენობის საპენსიო გასაცემელი დაფუძნებულია ანგელა მერკელის ბუნდესტაგში, მინისტრთა კაბინეტსა და მთავრობის მეთაურად მუშაობის მრავალწლიან გამოცდილებაზე. ანგელა მერკელის პენსია გამოანგარიშდება ორი სხვადასხვა კანონის შესაბამისად — კანონის ბუნდესტაგის დეპუტატთა შესახებ და ფედერალურ მინისტრთა კანონის შესახებ. გერმანიის ყოფილი კანცლერებისა და პრეზიდენტების მსგავსად, მერკელს თანამდებობის დატოვების შემდეგ, აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი ოფისი და მცირე პერსონალი, მათ შორის ოფისის მენეჯერი, ორი თანაშემწე, მდივანი და მძღოლი.

25 სექტემბერს გერმანიაში ბუნდესტაგის არჩევნები ჩატარდება, რის შემდეგაც მთავრობას სათავეში ახალი კანცლერი ჩაუდგება. ანგელა მერკელმა, რომელიც ამ თანამდებობას 16 წლის განმავლობაში იკავებდა, 2018 წლის ოქტომბერში დატოვა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარის პოსტი და განაცხადა, რომ კანცლერობისთვის ბრძოლას აღარ აპირებს.

◎ ბრძოლა გრძელდება

მაისაშვილის სიცოცხლისათვის!

უკვე თვეზე მეტია, რაც „ბორჯღალოსანთა“ თავკაცი ლევან მაისაშვილი კოვიდვირუსის უმძიმესი ფორმით დაინფიცირდა და მისი მდგომარეობა დღემდე კრიტიკულად მძიმეა.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის **იოსებ ტყემალაძის** მიერ გავრცელებული საგანგებო განცხადებიდან ვიგებთ, რომ **„ჩვენ არ ვკარგავთ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის გამოჯანმრთელების იმედს, ოპტიმიზმს კი პაციენტის უკომპრომისო ბრძოლისუნარიანობასთან ერთად სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგის კერძო საავადმყოფო „ნეთქეა მილპარკ ჰოსპიტალის“ პერსონალის მაღალკვალიფიციური და ყურადღებიანი სამედიცინო მხარდაჭერა, აგრეთვე ამავე კლინიკის ქსელის უმაღლესი მენეჯმენტი გვიძლიერებს“.**

ამავე ბარათში ქართული სარაგბო თემისა და ლევან მაისაშვილის ოჯახის სახელით მადლიერება მკურნალ ექიმებთან ერთად გამოთქმულია როგორც სამხრეთ აფრიკაში მოღვაწე ქართველი თეთრხალათიანის — **ვახტანგ რეხვიაშვილისა** და მისი ოჯახის, ასევე ამავე სახელმწიფოში საქართველოს ელჩის **ბექა დვალის** მიმართ, რომელიც განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან მომენტებში პირველივე დღეებიდან უდგას გვერდით ქართულ რაგბის.

„მოვუწოდებთ ყველა მეგობარს საქართველოსა თუ სამხრეთ აფრიკაში, რომ ილოცონ ლევანის ჯანმრთელობისთვის“, — ვკითხულობთ საგანგებო განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებთან ტესტების გასამართავად ჩასულ „ბორჯღალოსანთა“ დამრიგებლის მდგომარეობის დამძიმება ფილტვების დაზიანებამ გამოიწვია, ლევანმა კი ქვეყნის ნაკრების მესაჭის პოსტზე ახალზელანდიელი **მილტონ ჰეიგი** შეცვალა და გუნდს ზედიზედ ორჯერ — შარშან და წლეულს რაგბი ევროპა მოაგებინა.

◎ თარიღი



კაპიტანთა კაპიტანი

80 წელი შეუსრულდა სახელოვან ინჟინერსა და სპორტსმენს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს ირაკლი კიზირიას — სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსების მედლისა და ორდენის კავალერს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრს, საქართველოში რაგბის ერთ-ერთ დამაარსებელსა და ორგანიზატორს; წლების მანძილზე იყო რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი; საქართველოს მორაგბეთა ნაკრების კაპიტანი; ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი.

რაგბის თამაში დაიწყო 1962 წელს. — ჯერ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, 1964 წლიდან — თბილისის „დინამოში“. მას ეკუთვნის თავისებური რეკორდიც — ითამაშა 15 სეზონზე მეტი და ყოველთვის კაპიტანი იყო. მისი რეკორდია, აგრეთვე, ერთ თამაშში 98 ქულის მოპოვება (ბაქოს „დინამოსთან“). ეს რეკორდი ჯერ არავის გაუმეორებია, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის მოწინავე ქვეყნებშიც კი. საქართველოს ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული, სსრკ ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1966 წ.) „დინამოს“ საკავშირო პირველობის ოთხგზის ჩემპიონი, „ლოკომოტივის“ საკავშირო პირველობის ჩემპიონი, „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობის ვერცხლის პრიზიორი. საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირის პრეზიდენტი, დღესაც აქტიურ სპორტულ ცხოვრებაშია ჩაბმული და ღირსეული შთამომავლობით ამაყობს.

მრავალჟამიერი ბერმუხა!

„სრ“ სპორტის რედაქცია

◎ ბრძენთა თამაში

ძველი ბაადური

ხანმოკლე ჩავარდნის შემდეგ ქართველმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** მორიგი წარმატებით გაგვახარა.

ამჯერად მან პოლონეთში ადგილობრივი, ჩეხეთის, დანიის, შვედეთისა და უკრაინის 18 მოჭადრაკის მონაწილეობით შვეიცარიული სისტემით გამართული ტურნირი მოიგო, სადაც 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა.

◎ კორტი

იაპონიის შემდეგ

ტოკიოს ოლიმპიადაზე ღირსეულად გამოსვლის შემდეგ ნიკოლოზ ბასილაშვილმა საჩოგბურთო სეზონი კანადაში განაახლა და მორიგ წარმატებებს ტორონტოს კორტზე მიმდინარე 100-ათასიან მასტერსზე მიაღწია.

სტარტზე ჩვენი თანამემამულის მეტოქე მსოფლიო კლასიფიკაციის 99-ე ამერიკელი ნომერი ჯენსონ ბრუქსბი იყო. ისევე, როგორც შარშანწინ აშშ-ის ღია პირველობის საწყის წრეში, ნიკამ ოკეანისგაღმელს ამჯერადაც მოუგო საათსა და 52 წუთში — 2:6, 6:0, 6:4.

გაცილებით იოლად გაუსწორდა ბასილაშვილი მე-12 ნომრად განთესილ ავსტრალიელ ალექს დე მინორს — 57 წუთში 6:1, 6:1 და რევანში აიღო მასთან რამდენიმე თვის წინათ ანტალიის ტურნირის მეოთხედფინალში დამარცხებისთვის.

მართალია, ნიკამ შეუპოვარი წინააღმდეგობა მერვედფინალში მსოფლიოს მე-13 პოლონელ ჩოგან ჰუბერტ ჰურკაჩსაც გაუწია და დაწინაურდა კიდეც — 7:6, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი პარტია წააგო — 4:6, 4:6.

◎ ლეგიონერი

საუცხოო დებიუტი

11 ქულა, 12 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება — ასეთი შთამბეჭდავი დებიუტით აღნიშნა **სანდრო მამუკელაშვილმა** ნბა-ს მოქმედ ჩემპიონ „მილუოკი ბაქსში“ გამართული პირველი შეხვედრა, რომელიც ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაზე ვისკონსინელებმა „კლიპერსს“ მოუგეს — 81:78.

აღსანიშნავია, რომ ორმაგი დუბლის გარდა ქართველი ლეგიონერი მწვრთნელებმა 29 წუთის(!) განმავლობაში ათამაშეს.

◎ რა დააშავეს?

ეტყობა, გამორჩათ

„აჭარაბეთი“ განაგრძობს კეისრისათვის კეისრის მიგებას და კვლავაც ქართული სპორტის ერთგულ ქომაგად რჩება, რასაც კონკრეტული საქმეებით გამოხატავს.

ამჯერად წამახალისებელი ნაბიჯი ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორთათვის 100 ათასი ლარისა და თითოეული მონაწილისათვის, აგრეთვე ჩვენი დელეგაციის სამედიცინო შტაბის თავკაც **ზურაბ კახაბრიშვილისთვის** 20 ათასი ლარის გადაცემის სახით გადაიდგა. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ...

დარწმუნებულნი ვართ, გაგიჩნდებოდათ კითხვა — რა დააშავეს საპატიო კვარცხლბეკზე ასულ „ჯვაროსანთა“ **მწვრთნელებმა** ან, თუნდაც, ბრინჯაოს ერთადერთმა მედალოსანმა, ძალოსანმა **ანტონ პლესნოიმ,** რომელიც, ტრავმის მიუხედავად, გმირულად გაუმკლავდა შტანგას და, რომ იტყვიან, ცალი ფეხით დაძლია შეკვეთილი წონა? **ვიმედოვნებთ, ეს ხარვეზები მალევე გამოსწორდება.**

◎ სეზონის სტარტზე

საფეხბურთო ბოდაიკა

ლონდონის „ჩელსიმ“ მეხუთე ცდიდან მეორედ მოიპოვა ევროპის სუპერთასი.

ბელფასტში გამართულ სატიტულო ბრძოლაში „არისტოკრატებმა“ პენალტების სერიაში 6:5 (ძირითადი დრო — 1:1) სძლიეს ესპანურ „ვილიარეალს“, რომელიც ამ სეზონში პირველად გახდა ევროპალიგის გამარჯვებული. სხვათა შორის, პირენეელთა თავკაც უნაი ემერის უკვე ოთხჯერ აქვს მოგებული რანგით მეორე საკლუბო ტურნირი, მაგრამ სუპერთასზე წარმატებას ვერაფრით ახერხებს. დავძენთ, რომ უკანასკნელი ცხრა გათამაშებიდან რვაში ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორმა იმარჯვა, ხოლო გერმანელის გაწვრთნილმა გუნდმა ზედიზედ მესამედ მიაღწია მიზანს (2019 — კლოპი, 2020 — ფლიკი და 2021 — ტუხელი).

* * *

ერთი ეტაპიც და გაირკვევა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის ყველა მონაწილე. რაც შეეხება პლეი-ოფს, მეტოქენი ასე დაწყვილდნენ:

„ზალცბურგი“ — „ბრონდბიუ“,
„იანგ ბოიზი“ — „ფერენცვაროში“,
„მალმიო“ — „ლუდოგორეცი“,
„შერიფი“ — „დინამო“ (ზაგრები),
„მონაკო“ — „შახტარი“,
„ბენფიკა“ — „ეინდჰოვენი“.

* * *

„ევრო — 2020“-ის ფინალური მატჩის 48 წლის ნიდერლანდელმა მსაჯმა ბიორნ კუიპერსმა კარიერა დაასრულა.

ორი მუნდიალისა და სამი კონტინენტური ფორუმის არბიტრს უეფა დიდ ნდობას უცხადებდა საკლუბო ევროტურნირებზეც: კერძოდ, ორჯერ გაუძღვა ევროპალიგის ფინალებს, ხოლო თითოჯერ — სუპერთასისა და ჩემპიონთა ლიგის სატიტულო ბრძოლებს.

* * *

778 მატჩი, 667 გოლი, 35 ტიტული და უამრავი ინდივიდუალური პრიზი, მათ შორის — 6 „ოქროს ბურთი“. ეს უკვე „ბარსელონაში“ გადაშლილი ფურცელია.

და აი, ამ დღეებში გაცხადდა სეზონის საფეხბურთო მოვლენის დეტალები, რომლის თანახმადაც ლიონელ მესიმ „პარი სენ-ჟერმენთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით და ის, ამავე ხელშეკრულების შესაბამისად, თითოეულ სეზონში გარანტირებულად

მიიღებს 25 მილიონ ევროს ხელფასისა და კიდევ 10 მილიონს ბონუსების სახით.

„აქ იმისთვის ვარ, რომ ყველა ტიტული მოვიგოთ. პარიზული კლუბისა და ჩემი ამბიციები სრულ თანხვედრაშია. მე და მწვრთნელი პოჩეტინო არგენტინელები ვართ და კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. მოუთმენლად ველი, როდის დავდგამ ფეხს „პარკ დე პრენსის“ ბალახზე და როდის შევალ აქაურ გასახდელში“ — ამბობს მესი.

ბავშვობის უახლოესი მეგობრები გურამ კოსტავა, უშანგი ვარდიაშვილი, იური ოსიპოვი, ზურაბ ჩაჩხიანი და ირაკლი მელაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ ქ. მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი ექიმი და ტანმოვარჯიშე

ანზორ ჩაჩხიანი

ნაპოლეონ ქარქაშაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება ღირსეული მამულიშვილის, გამოჩენილი ქირურგის, პროფესორ

კონსტანტინე გოგბეჩიას

გარდაცვალებას და თანადგომას უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

უახლოესი მეგობრები გია გვაზავა, ბაკურ გულუა, ნუგზარ კახიშვილი, თემურ დანელია, ირაკლი მეგრელაძე, გოგი ბერაძე, ლონდერ ცაავა, ვახტანგ ყოლბაია, ზურაბ ერქვანია, გურამ კაკულია, მერაბ კილაძე, ზურაბ ხასია, ზურაბ კუტივაძე, ნუკრი გოგიტიძე, თემურ ჯიჯეიშვილი, გია კახეთელიძე, სოსო ჯღარკავა, გია ბერაძე, კახა არდია, ზაურ გამსახურდია, ჯემალ კვირტია, სოსო ხარებავა, თემურ ჯანაშია, ოსო ჩიქოვანი, კოტე შენგელია, ოთარ ჭითანავა სამძიმარს უცხადებენ ზურაბ ჩიქოვანს მეუღლის

მანანა გოცირიძის

გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს კდემამოსილი ქალბატონის სული.

სად არის ყველაზე სუფთა ზღვის წყალი საქართველოში?!

აჭარის ზღვის აკვატორიაში ჩატარებული კვლევებით, ზღვის წყლის ხარისხი **დამაკმაყოფილებელია,** – ამის შესახებ ,,კომერსანტს“ აჭარის ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს ინტეგრირებული მართვის სამსახურის უფროსმა გურანდა ბაგრატიონმა უთხრა. მისი ინფორმაციით, სანაპირო ზოლში, 13 ივლისს სხვადასხვა ადგილას აღებული სინჯების მიხედვით, ზღვის წყლის ხარისხი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტს აკმაყოფილებს. ასევე კვლევით დადასტურდა, რომ ყველაზე სუფთა წყალი კვარიათში, სარფში, გონიოსა და ბობოყვათშია.

„ზღვის წყლის სინჯების აღება მთელი წლის განმავლობაში გვაქვს დაგეგმილი, მათ შორის განსაკუთრებით ზაფხულში ვატარებთ პერიოდულად. ბოლოს ჩატარებული კვლევის შედეგი დამაკმაყოფილებელია. კვლევა მოიცავს ბათუმის ცენტრალურ სანაპიროს, აკვაპარკის მიმდებარე ტერიტორიას, კვარიათს, სარფს, მწვანე კონცხს, ბარცხანას, ბობოყვათსა და ქობულეთის ცენტრალურ სანაპიროს. მართალია, ზოგიერთ ადგილას ბაქტერიული მონაცემები მაღალია, მაგრამ ზღვრულ ნორმას არ აღემატება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ბათუმის ცენტრალური სანაპირო და ბარცხანა, სადაც მეტი დაბინძურებაა, მაგრამ ნორმაშია და ამ მხრივ საშიში არ არის, დამსვენებელს ამ მხრივ საფრთხე არ ემუქრება“, – აღნიშნა გურანდა ბაგრატიონმა. მისივე განმარტებით, ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიების მაჩვენებლის ნორმა ზღვის წყლის 1 ლიტრში არის 10 000, ხოლო კვლევის შედეგით, ეს მაჩვენებელი ზოგიერთ ტერიტოპრიაზე მაქსიმუმ 2400-დან მინიმალურ მაჩვენებლებამდე მერყეობს.

„ზღვის წყალი ყველაზე სუფთაა კვარიათში, სარფში, ბობოყვათსა და მწვანე კონცხზე. ქობულეთშიც მეტნაკლებად ნორმაშია. სიტუაცია თანდათან უმჯობესდება, დაბინძურების კერები კიდევ არსებობს, მაგრამ აშკარად უკეთესი სიტუაციაა იმასთან შედარებით, რაც ბოლო წლებამდე იყო. გარდა ამისა, 2021 წლის მონაცემით, ჩამდინარე წყალზე არ გვქონია მომატებული შემთხვევები. ბოლო სინჯი ჩამდინარე წყლებზე გავაკეთეთ 13 ივლისს. ხარისხთან დაკავშირებით, რა მონაცემებიც გვაქვს, დამაიმედებელია, შეიძლება თქმა, რომ საბანაო წყლის ხარისხი ნორმასთან შესაბამისობაშია“, – თქვა ბაგრატიონმა.

წყლის ხარისხთან დაკავშირებით პრეტენზიები არც დამსვენებლებს აქვთ, თუმცა საუბრობენ, რომ სანაპიროებზე, მათ შორის, ბათუმის ტერიტორიაზე, ანტისანიტარია აშკარად თვალშისაცემია.

„სიბინძურე არ არის, მაგრამ არც ისეთი სიტუაციაა, რომ სანაპიროებზე განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა იგრძნობოდეს. სიგარეტის ნამწვავები, პლასტმასის ბოთლები და, წარმოიდგინეთ, გამონაცვალი პამპერსები ყოველდღიურობის ნაწილია, რასაც ყველა დამსვენებელს უქმნის დისკომფორტს. თუმცა წყალი კარგია, მეტი სისუფთავეა, ვიდრე წინა წლებში იყო, ზომები ნამდვილად ტარდება და ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, სხვა შემთხვევაში, ზღვაზე დასვენებას ნამდვილად მოვერიდებოდი. კარგი იქნება, წყალთან ერთად, სანაპირო ზოლის სისუფთავეც თუ გაკონტროლდება“, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ეკა კორძაძემ, თბილისელმა დამსვენებელმა.

შეგახსენებთ, რომ ზღვის სანაპირო ზოლზე სინჯების აღებას აჭარის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამმართველო ახორციელებს. ზღვის წყალს შემდეგ მაჩვენებლებზე იკვლევენ: ნაწლავის ჩხირის ბაქტერიებს, ლაქტოზა დადებითი ნაწლავის ჩხირებს, კოლიფაგს, ფეკალურ სტრეპტოკოკს, ოქროსფერ სტაფილოკოკს, პათოლოგიურ მიკროორგანიზმებს, მათ შორის, სალმონელას. ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში, აჭარის გარემოს დაცვის სამმართველო სინჯებს სეზონის განმავლობაში კიდევ რამდენიმეჯერ აიღებს.

მარი ჩიტაია

მეუღლე მიმოზა (ჯილდა) ჯოხაძე, შვილები ნინო, ანა, აჩიკო კეკელიები, და ნაირა კეკელია, სიძე ნოდარ კელენჯერიძე, შვილიშვილები გაბრიელ, ნიკოლოზ კელენჯერიძეები, დისწული მარიამ რურუა, ძმისწული ლევან კეკელია, რძალი დოდო რურუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ კვიროსის ძე კეკელია

პანდემიას კიდევ ერთი ღირსეული ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი, შესანიშნავი ოჯახის თავკაცი, ჩვენი კოლეგის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სტილისტ-კორექტორის ნაირა კეკელიას ძმა

ზურაბ კეკელია

გაზეთის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ და ამ მძიმე წუთებში თანაუგრძნობენ ერთგულ კოლეგასა და გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

და მანანა შენგელია, სიძე დავით გულუა, დისშვილები მარიამ, იაკობ გულუები, ბიძა გიორგი ნაჭყებია, ბიცოლები თინა ჭკადუა, მზია შენგელია, ბიძაშვილები გია, მედეა, ბადრი, ლევან ნაჭყებიები, გოჩა, მარინა, მაია, ალინა, მონიკა, ნინო, ინეზა, როზა, ჟანა, მიმოზა, გია შენგელიები, ნათესავები, თანამებრძოლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ომის ვეტერანი

მერაბ სერგოს ძე შენგელია

პანაშვიდი: 15, 16 VIII, მისამართი: თბილისი, კანდელაკის 17, მე-4 სართული, ბინა 6. გამოსვენება: 17 VIII, 14:00. დაკრძალვა წყნეთის სასაფლაოზე.

ლაშა ჯაველიძე

ძნელია, წარსულში ისაუბრო ისეთ ერთგულ მეგობარზე, სიკეთისა და ერთგულების განსახიერებაზე, უდროოდ წასულ ახალგაზრდა კაცზე, რომელიც ყველას გვერდში მდგომად და გაჭირვების ტალკვესად მიგვაჩნდა. ასეთი ადამიანი გახლდათ ლაშა ჯაველიძე, უღალატო, სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, ღირსეული პიროვნება. არსთა გამრიგემ ისე ისურვა, რომ ლაშა და მამამისი, უკეთილშობილესი პიროვნება, დამსახურებული ჟურნალისტი და დიდი პროფესიონალი, ბატონი ნოდარ ჯაველიძე ერთ დღეს დამშვიდობებოდნენ ოჯახსა და საახლობლოს, ერთად გადაბრძანებულიყო მათი სული ზეციურ საქართველოში. 14 აგვისტოს ლაშას დაბადების დღე იყო, გილოცავთ ჩვენთვის მუდამ დაუვიწყარო მეგობარო, გვახსოვხარ და ვუფრთხილდებით შენს ხსოვნას.

მეგობრები

შეძლებს თუ არა მსოფლიო ოდესმე COVID-19-ის სრულად ამოძირკვას?!

(მერვე გვერდიდან)

ცვლადებს შორის იყო მაგალითად, უსაფრთხო და ეფექტიან ვაქცინებზე ხელმისაწვდომობა, იმუნიტეტის ხანგრძლივობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზომების გავლენა, მთავრობათა მიერ ინფექციის ეფექტიანი კონტროლი. ამ ცვლადების მიმოხილვისას დადგინდა, რომ COVID-19-მა 51-დან 28 ქულა მიიღო, პოლიომ კი 51-დან 26. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა ამ ცვლადს სრულყოფილად არ ვიყენებთ და ბევრი ისეთი ელემენტი გვრჩება გვერდით, რომელიც ვირუსის ამოძირკვას შესაძლებელს გახდიდა.

„ამ წინასწარ ანალიზებში, COVID-19-ის ამოძირკვა ოდნავ უფრო განხორციელებადი ჩანს, ვიდრე პოლიოსი, მაგრამ გაცილებით ნაკლებად შესაძლებელი, ვიდრე ყვავილი“, – წერს ჯგუფი. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ამოძირკვის მიზანი გაცილებით მტკიცე უნდა იყოს, ვიდრე ის ყვავილის შემთხვევაში იყო, მაგრამ სულაც არ არის ბოლომდე შეუძლებელი.

ჯგუფი განმარტავს, რომ COVID-19-ის ამოსაძირკვად გასათვალისწინებელია ისეთი ტექნიკური გამოწვევები, რომლებიც ასეთ დიდ ფაქტორს არ წარმოადგენდა პოლიოსა და ყვავილის შემთხვევაში. მაგალითად, ვაქცინებისადმი ყოყმანი და ვირუსული შტამების სწრაფი ევოლუცია, რამაც შესაძლოა, გლობალური ვაქცინაციების პროგრამები უკან ჩამოიტოვოს. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ვაქცინაციის პროგრამების განხორციელებისა და ჯანდაცვის სისტემების განახლების სიძვირე. პლუს ის ფაქტი, რომ გარეული და შინაური ცხოველები ამ ვირუსის რეზერვუარს წარმოადგენს, რომლებშიც მან შეიძლება კიდევ უფრო მეტად მუტაცია შეძლოს.

მიუხედავად იმისა, მივაღწევთ თუ არა ამ მიზანს, COVID-19-ის ამოძირკვის ძალისხმევას აქვს გარკვეული სარგებელი. **„COVID-19-თან ბრძოლაში განახლებულ ჯანდაცვის სისტემებს დიდი თანასარგებელი ექნება სხვა დაავადებების კონტროლში. ამასობაში, შეიძლება სრულიად ამოიძირკვოს წითელაც“,** – წერს მკვლევართა ჯგუფი. მათივე განცხადებით, ერთობლივად, მთელ ამ ფაქტორთა გათვალისწინებით, სარგებელმა შეიძლება ხარჯები გადაწონოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახალი კორონავირუსის ამოძირკვას მრავალი წელი დასჭირდა და გზადაგზა ბევრ რისკსა და წარუმატებლობასაც გადავაწყდით.

კვლევა BMJ Global Health-ში გამოქვეყნდა. მომზადებულია ScienceAlert-ის მიხედვით.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

ბიბლიოთეკა გემზე

უნიკალური პროექტი მხარდამჭერების მოლოდინშია

განმუხურში, სანაპიროზე გამორიყულ ძველ გემში, უნიკალური ბიბლიოთეკის მოწყობა იგეგმება. ინიციატივა პირველად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის“ დირექტორმა ბესიკ არახამიამ სოციალური ქსელის საშუალებით გააჟღერა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თუმცა სიტყვიერ მხარადაჭერასთან ერთად, პროექტის განხორციელება გარკვეულ ფინანსურ რესურსსაც მოითხოვს.

ბესიკ არახამიას თქმით, დაახლოებით 10 000 ლარია საჭირო იმისთვის, რომ პროექტი სისრულეში მოიყვანონ, ხარჯი ძირითადად ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს უკავშირდება, როგორიცაა გემის კეთილმოწყობა, შეღებვა და შიდა სივრცის მოწესრიგება. არახამია დარწმუნებულია, რომ განმუხურის საფეხმავლო ხიდის სათავესთან მოკალათებული გემი, წიგნის მოყვარულთა საყვარელი ადგილი გახდება.

„გემი დამონტაჟებულია, უსაფრთხოა და მასზე მცირე ზომის ბიბლიოთეკის განთავსება უპრობლემოდ შეიძლება. გვეუბნებიან, ანგარიში გავხსნათ, შემოწირულებებით და სხვა საშუალებებით განვახორციელოთ პროექტიო. ჯერჯერობით არ ვიცი, რა ფორმით შეიძლება მოძიებულ იქნას სპონსორი, იდეებს განვიხილავთ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროექტით კურორტ განმუხურს უფრო მიმზიდველს გავხდით. ამის რამდენიმე მაგალითი ევროპის ცნობილ კურორტებზე შეგვიძლია ვნახოთ. გვაქვს თემატიკა „ენგურის პაემანი ზღვასთან“, რომელიც ერთი ლამაზი საზღვაო ბიბლიოთეკის დაარსების საბაბი უნდა გახდეს“, — ამბობს ბესიკ არახამია.

პროექტის საბოლოო მიზანი მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაცია და ახალგაზრდების წიგნიერების დონის ამაღლებაა. ამ თვალსაზრისით, როგორც არახამია „კომერსანტთან“ ამბობს, რამდენიმე პროექტი ხორციელდება. მათ შორის, წიგნის მოყვარული ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფ B612-ის პროექტი — „საოჯახო ბიბლიოთეკის გიდი“. პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ წაიკითხონ წიგნები სამეგრელოს ღირშესანიშნავ ადგილებში, ეწყობა წიგნის კითხვის ტურები, ტარდება ონლაინ-გაკვეთილები და სხვა.

„ჩვენი დიდი მხარდამჭერია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, რომელიც გვსტუმრობდა, გაეცნო პროექტს და იდეის განხორციელების შემთხვევაში, წიგნების გარკვეულ რაოდენობას საჩუქრად გადმოგვცემს“, — ამბობს ბესიკ არახამია.

„ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის“ ინფორმაციით, ის აერთიანებს ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და 30 საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალს. ბიბლიოთეკებში, საერთო ჯამში, 188 942 წიგნია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ღვთის რისხვა თუ... ბუნების ჭირვეულობა?

თურქეთში, შავი ზღვის რეგიონში, წყალდიდობის შედეგად, სულ მცირე, 31 ადამიანია დაღუპული. კასთამონუს პროვინციაში სტიქიას 29, სინოპის პროვინციაში კი 2 ადამიანი ემსხვერპლა.

ძლიერი წვიმით გამოწვეულმა წყალდიდობამ დაანგრია შენობები, ხიდები, ჩახერგა ქუჩები წაღებული ავტომობილებით, დააზიანა ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურა.

„ნამდვილი რაპუნცელი“

უკრაინელი ქალის თმის სიგრძემ მის სიმაღლეს გადააჭარბა. ოდესის მკვიდრის ალა პერკოვას განცხადებით, მას ცხოვრებაში არასდროს შეუჭრია თმა. შესაბამისად, 37 წლის ასაკში მისი თმის სიგრძე 1,64 სანტიმეტრია, რაც ალა პერკოვას სიმაღლეს 10 სანტიმეტრით აღემატება.

უჩვეულო გარეგნობამ ქალს სოციალურ ქსელებში პოპულარობა მოუტანა. ამჟამად მას Instagram-ზე 34 ათასი გამომწერი ჰყავს, სადაც ის „ნამდვილი რაპუნცელის“ სახელით არის ცნობილი.

ხეებთან ჩახუტების ჩემპიონატი

ფინეთში ხეებთან ჩახუტების მეორე საერთაშორისო ჩემპიონატი გაიმართება. კორონავირუსის პანდემიის გამო შეჯიბრის პირველ ეტაპში მონაწილეობას მხოლოდ ფინეთში მცხოვრები ადამიანები შეძლებენ. მათ 8 წუთის განმავლობაში რაც შეიძლება მეტ ხესთან ჩახუტება უნდა მოასწრონ. ამასთან, თითო ჩახუტება სულ მცირე 5 წამს უნდა გრძელდებოდეს. ჟიური ასევე შეაფასებს რამდენად კრეატიულად მიუდგებიან კონკურსანტები დავალების შესრულებას.



სხვა ქვეყნებში მცხოვრებ მონაწილეებს კი ორგანიზატორები ხეებთან ჩახუტების ფოტო ან ვიდეომასალის გადაღებას სთავაზობენ. მათ სურათები და ვიდეო 28 აგვისტომდე ორგანიზატორებს უნდა გაუგზავნონ ან გამოაქვეყნონ Instagram-ზე.ამასთან, ონლაინ ეტაპის მონაწილემ ხეების კოორდინატები უნდა მიუთითოს და განმარტოს, თუ რატომ აირჩია სწორედ ესა თუ ის ხე. ონლაინ ჩემპიონატის გამარჯვებულს 2022 წლის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ფინეთში დაპატიჟებენ. წელს კონკურსში მონაწილეობენ ესპანეთის, აშშ-ის, რუსეთის, შვეიცარიისა და უკრაინისა წარმომადგენლები.

რატომ აკრიტიკებენ ოლიმპიელს?

20 წლის გოგომ, მშვილდოსანმა ან სანმა ტოკიოს ოლიმპიადაზე 3 ოქროს მედალი მოიპოვა, თუმცა, ქებასთან ერთად, მის ასპარეზობას მწვავე კრიტიკაც მოჰყვა.

მიზეზი, ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ძალიან უცნაურია — მოკლე თმა. მას სწორედ მოკლედ შეჭრილი თმის გამო ლანძღავენ და „ფემინისტს“ უწოდებენ. ეს ტერმინი სამხრეთ კორეაში, ხშირად, ესმით, როგორც „კაცების მოძულე“.

„კარგია, რომ ოქრო მოიპოვა, მაგრამ მოკლედ შეჭრილი თმა მას ფემინისტს ამსგავსებს. თუ ეს მართლაც ასეა, ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს. ყველა ფემინისტი უნდა მოკვდეს“, — დაწერა ერთ-ერთმა ადგილობრივმა კაცმა სოციალურ ქსელში. მიუხედავად ლანძღვისა, კრიტიკის ზრდასთან ერთად, გაიზარდა მისი მხარდამჭერების რაოდენობაც, ამან კი, კამპანიის სახეც მიიღო. ათობით ათასმა ქალმა ვარცხნილობა შეიცვალა და დაიწყო ფოტოების გამოქვეყნება, რომლებზეც ისინი მოკლე თმით ჩანან.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

რესტორანი ჭიანჭველებისთვის

დუბაიში ჭიანჭველებისთვის რესტორანი გაიხსნა. რესტორანი TikTok-ის მომხმარებელმა, ziblogs-მა რესტორნის მოსაწყობად მარკერი და მუყაო გამოიყენა.

პირველ დღეს მენიუში თაფლი, ყველი, შაქარი და ვაშლი იყო, ყველაზე პოპულარული კი ჭიანჭველებში ყველი აღმოჩნდა.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 19 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1238; ევრო - 3.6698;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3099;
100 რუბლი - 4.2534; თურქული ლირა - 0.3656;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8388;
1000 სომხური დრამი - 6.3317.

ამინდი 16 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+35
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+31
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge